მუშანო ყველანი, ერთიანდეთ!

კომუნისტი

საქართველოს კ.პ.(ბ) ც. კ-ის და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОММУНИСТИ — ОРГАН ЦК КП(б) ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 243 (9403.) | შაბათი, 11 ოქტომბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

ჩვენ ყველას გვახარებს ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის კოლოსალური ზრდა. ჩვენი მიწათმოქმედება და მეცხოველეობა ახლა ახად, მძლავრ აღმავლობას განიცდიან. ეჭვი არ არის, რომ უახლოეს წლებში მდიდარი ტექნიკით აღჭურვილ ჩვენ-ი კოლმეურნეობები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, საბჭოთა მეურნეობები კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევენ სოფლის მეურნეობის განვითარებაში, და ჩვენს ქვეყანაში გვექნება სურსათის სიუხვე ხალხისათვის და ნედლეულის სიუხვე სწრაფად მზარდი მსუბუქი მრეწველობისათვის.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. გ. მ. მალენკოვის მოხსენებიდან.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XIX ყრილობა

ყრილობის დღიური

8 ოქტომბრის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა ამხ. მ. ზ. საბუროვის მოხსენებისა „პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ".

თავმჯდომარე ამხ. ნიაზოვი პირველ სიტყვას აძლევს ამხ. **ბაბაევს** (თურქმენეთის სსრ). ამხ. ბაბაევი ამბობს, რომ პარტია, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, XIX ყრილობას შეხვდა დიდი წარმატებებით კომუნიზმის მშენებლობაში. პარტიის ცენტრალური კომიტეტის და პირადად ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის და, პირველ რიგში, დიდი რუსი ხალხის უდიდესი დახმარებით, უდიდესი წარმატებანი მოიპოვა თურქმენეთის სს რესპუბლიკამ. ჩამორჩენილი განაპირა მხარიდან თურქმენეთის სსრ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადაიქცა მოწინავე საბჭოთა რესპუბლიკად, რომელსაც აქვს დიდად განვითარებული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. წარმატებით ვითარდება ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

ამხ. ბაბაევი ლაპარაკობს იმაზე, თუ შემდგომი აყვავების რა დიდებულ პერსპექტივებს ხსნავს რესპუბლიკის წინაშე თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობა. მას საჭიროდ მიაჩნია დაჩქარდეს არხის მშენებლობის ვადა, მთელ რიგ კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამს სსრ კავშირის მებამბეობის ელექტროსადგურისა და კავშირგაბმულობის სამინისტროების მიმართ რესპუბლიკისადმი არასაკმაო დახმარების გამო.

ამხ. **ბენედიქტოვი** (მოსკოვი) თავის სიტყვაში ახასიათებს იმ წარმატებებს, რომლებიც საბჭოთა ქვეყანამ სოფლის მეურნეობის განვითარებაში მოიპოვა. მოკლე ვადაში არა მარტო აღდგენილია, არამედ კიდევაც გადაჭარბებულია წარმოების ომამდელი დონე. ომისშემდგომი ხუთწლეული მანძილზე გადიდდა კოლმეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უფრო განმტკიცდა მათი საზოგადოებრივი მეურნეობა. კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის მაღალმა დონემ და მიწათმოქმედების გაზრდილმა კულტურამ საბჭოთა კავშირს შესაძლებლობა მისცა ხორბლის წარმოება აეყვანა ისეთ ოდენობამდე, როგორიც წინათ არ ყოფილა ჩვენს ქვეყანაში და ტკივილ შეენარჩუნებინა მსოფლიოში პირველი ადგილი ამ უძვირფასესი კულტურის წარმოებაში.

ამხ. ბენედიქტოვმა სწორად ცნო კრიტიკა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ, რასაც შეიცავდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. მალენკოვის მოხსენება, აგრეთვე მთელი რიგი დელეგატების სიტყვები, და თქვა, რომ სამინისტრო მიიღებს ღონისძიებებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

დასასრულ ორატორმა ილაპარაკა მეხუთე ხუთწლეულში სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანებზე.

— საბჭოთა უკრაინის პარტიული ორგანიზაცია და ყველა მშრომელი, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი,—ამბობს ამხ. **კოროტჩენკო** (უკრაინის სსრ),—დიდი მოწონებით შეხვდნენ ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტს — სსრ სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის შემდგომი ბრძოლის ამ დიდ პროგრამას.

ახალ ხუთწლიანი გეგმა ასახავს საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიან მისწრაფებას, ცხადყოფს სოციალიზმის სიდიადეს, მის გადამწყვეტ უპირატესობას კაპიტალიზმის წინაშე. იგი უფრო განამტკიცებს ჩვენს თანამშრომლობას სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან.

უკრაინის სსრ მაგალითით ამხ. კოროტჩენკო ცხადყოფს საბჭოთა ხალხის უდიდეს მიღწევებს.

უკრაინელი ხალხი სიხარულით შეხვდა ყრილობის დირექტივების პროექტით გათვალისწინებულ მითითებას კახოკის ჰიდროელექტროსადგურის, აგრეთვე სამხრეთ უკრაინის არხის მშენებლობის შემდგომი გაჩაღების შესახებ.

თვალსაწინოებს რა დიდ მოთხოვნილებას ელექტროენერგიის მხრივ, აგრეთვე იმის საჭიროებას, რომ უფრო მალე გადაეცეს საექსპლოატაციოდ ახალი სარწყავი ფართობები რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილში, ამხ. კოროტჩენკო წინადადებას იძლევა ომისშემდგომ მეორე ხუთწლეულში გათვალისწინებულ იქნას კაპიტალდაბანდებათა ასეთი მოცულობა, რომელიც საშუალებას შესაძლებლობას შემცირდეს სამხრეთ უკრაინის არხისა და კახოკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ვადები. მას შეაქვს აგრეთვე მთელი რიგი სხვა წინადადებანი, რომლებიც ეხება უკრაინის სსრ სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების შემდგომ განვითარებას.

სიტყვა ეძლევა ამხ. **ნ. ა. ბულგანინს**—ამხანაგ სტალინის ერთ-ერთ უახლოეს თანამებრძოლს. ყრილობა მქუხარე ხანგრძლივი ტაშით ხვდება მას.

თვალს ვავლებთ რა საბჭოთა ქვეყნის მიერ XVIII ყრილობის შემდეგ განვლილ გზას, ამბობს ამხ. ბულგანინი, ამაყოფოვლებისა და სიამაყის გრძნობით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჩვენი პარტიის პოლიტიკა სწორი იყო, როგორც ყოველთვის, ემყარებოდა ხალხის ინტერესებს და მიზნად ჰქონდა საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ღონისძიებით განმტკიცება. პარტიის პოლიტიკამ, მისმა პრაქტიკულმა საქმიანობამ მეტად მძიმე გამოცდა გადაარა დიდი სამამულო ომის სასტიკი განსაცდელის ბრძოლაში, როგორც საკითხი ასე იდგა: ან საბჭოთა კავშირი მეინარჩუნებდა თავის დამოუკიდებლობას და ჩვენი ქვეყანა კვლავ თავისუფალი იქნებოდა, ან იგი გადაიქცეოდა კოლონიად, ხოლო მისი ხალხები—გერმანიის იმპერიალიზმის მონებად. დასძენდა რა კოლოსალური სიძნელენი, რომელთა ატანა არ ძალუძს არც ერთ სხვა სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირმა გამარჯვება მოიპოვა, იგი ჰიტლერულ გერმანიაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

შემდეგ ამხ. ბულგანინი ლაპარაკობს სამამულო ომში საბჭოთა არმიის უმაგალითო გმირობასა და გამარჯვებებზე. თვითეული გამარჯვება ჩვენი ხალხის საბჭოთა სამხედრო ისტორიის ოქროს ფურცელია.

საბჭოთა ხალხის, საბჭოთა არმიის ყველა გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია დიდი სტალინი, ამბობს ამხ. ბულგანინი ყრილობის ბანაღლი. ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, მისი გენიალური ჩანაფიქრით იყო მომზადებული და განხორციელებული დიდი სამამულო ომის ყველა გადამწყვეტი ოპერაცია და ჰიტლერული გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურება.

ომის შედეგებმა მთელ მსოფლიოს უჩვენა, თუ რა მძლავრ ძალას წარმოადგენს საბჭოთა კავშირი.

ომისშემდგომმა წლებმა კვლავ ცხადყო საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება. საბჭოთა ხალხმა ჰპოვა ძალა და შესაძლებლობა არა მარტო მოეშუშებინა ომით მიყენებული ჭრილობები, არამედ კიდევაც მოეწყო მრეწველობის, ტრანსპორტის. სოფლის მეურნეობის, მშრომელთა კულტურისა და მატერიალური კეთილდღეობის მძლავრი აღმავლობა.

შემდეგ ამხ. ბულგანინი ლაპარაკობს ახალი ხუთწლიანი გეგმის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანები დიდ მოთხოვნებს უყენებენ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ავალებენ მათ დარაზმონ მშრომელთა ფართო მასები ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის შემდეგ ამხ. ბულგანინი აღნიშნავს, რომ საჭიროა პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ახალი აღმავლობა.

ამხ. ბულგანინმა თავისი სიტყვის საბოლოო ნაწილი მიუძღვნა საერთაშორისო მდგომარეობას. იგი ლაპარაკობს იმაზე, თუ რა ხრიკებს მიმართავენ ამერიკელი აგრესორები, რომლებიც, ცდილობენ გაალვიძონ მსოფლიო ომის ხანძარი თუ იგი მათ გაიჩაღეს, ამბობს ამხ. ბულგანინი, ეს გამოიწვევს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის ძლიერ წინააღმდეგობას, რომლებიც არ დაზოგავენ თავიანთ ძალებს, რათა სამუდამოდ მოიღონ ბოლო კაპიტალიზმს. ამ სიტყვებს ყრილობა ხანგრძლივი ტაშით შეხვდა.

ამხ. ბულგანინის სიტყვის დამთავრების შემდეგ დარბაზში იწყება მქუხარე ოვაცია ამხანაგ სტალინის პატივისცემად. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის შეძახილები: „დიდ სტალინს ვაშა!".

ყრილობაზე გამოვიყენდა იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ ტოკუდას მისასალმებელი დეპეშა, რომელსაც მხურვალე ტაშით შეხვდნენ. დეპეშაში, რომელიც ამხ. არისტომა წაიკითხა, ნათქვამია, რომ მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანი და იაპონელი პატრიოტები იაპონიის კომუნისტურ პარტიასთან ერთად მხურვალედ უსურვებენ წარმატებებს XIX ყრილობას. ყრილობის განსახილველად წარდგენილი დოკუმენტები მოწმობენ იმ მტკიცე და ურღვევ მონაპოვართ, რომლებიც დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა უზრუნველყო საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის.

შემდეგ დეპეშაში ნათქვამია, რომ ამერიკელი ოკუპანტები და იაპონელი რეაქციონერები ცდილობენ იაპონელი ხალხი ჩაითრიონ აგრესიულ ომში და ამ ომის მზადებას ფარავენ სიცრუით აგრესიის საფრთხის შესახებ, რომელიც თითქოს საბჭოთა კავშირის მხრივ არსებობს. სწორედ ამიტომ სსრ კავშირის მშვიდობიანი მშენებლობის ახალ გრანდიოზულ პროგრამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იაპონელ ხალხისათვის, რადგან იგი ამხილებს ამ ჭორებს და ადგილებს ბრძოლას ამერიკელ ოკუპანტთა და მათ ხელშემწყობთა—იაპონელ რეაქციონერთა წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მუდამ იბრძოდა და იმარჯვებდა, რადგან ხელმძღვანელობდა მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრებით. ეს მოძღვრება გზის მანათობელი ვარსკვლავია იაპონიის კომუნისტური პარტიისთვისაც.

ამხ. ტოკუდას დეპეშის კითხვა არაერთგზის შეწყვეტილ იქნა ყრილობის ტაშით.

ამხ. **კუზნეცოვი** (მოსკოვი) ლაპარაკობს საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებზე. რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, გენიალურ ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით. დირექტივები ხუთწლიანი გეგმის შესახებ შეიცავენ კომუნიზმის გზით სსრ კავშირის შემდგომი განვითარების დიდებულ პროგრამას.

კომუნისტური პარტიის ყოველდღიური მზრუნველობის მეოხებით, განაგრძობს ამხ. კუზნეცოვი, XVIII და XIX ყრილობებს შორის განვლილ პერიოდში მიღწეულია უდიდესი წარმატებანი საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებაში. მუშებისა და მოსამსახურეების შემოსავალი ერთ მომუშავეზე 1951 წელს, ომამდელ დროსთან შედარებით, გადიდდა 57 პროცენტით და გლეხთა შემოსავალი—60 პროცენტით. საბჭოთა ადამიანებს იმავე სახსრებით ამჟამად შეუძლიათ ორჯერ მეტი საქონელი იყიდონ, ვიდრე 1947 წელს.

ამხ. კუზნეცოვი თავისი სიტყვის მნიშვნელოვან ნაწილს უძღვნის სხვა ქვეყნების მშრომელებთან საბჭოთა ხალხის ძმური კავშირისა და მეგობრობის განმტკიცების საკითხებს. მუშათა საერთაშორისო ერთიანობის განმტკიცებას.

ყრილობის დელეგატები გულთბილად ხვდებიან უნგრეთის მშრომელთა პარტიის გენერალურ მდივანს ამხ. **მ. რაკოშს**, რომელიც პარტიისა და უნგრელი ხალხის სახელით მხურვალე სალამს გადასცემს საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობას. ორატორს მრავალჯერ გაწყვეტინეს სიტყვა მქუხარე ხანგრძლივი ტაშით. ამხ. მ. რაკოში ლაპარაკობს სახალხო-დემოკრატიული უნგრეთის ახალი ცხოვრების მშენებლობაზე, რომლის ხალხიც საბჭოთა კავშირს უნდა უმადლოდეს თავის განთავისუფლებას.

უნგრელ მშრომელებს საბჭოთა კავშირი მიაჩნიათ არა მარტო თავიანთ განმთავისუფლებლად, არამედ მაგალითადაც, რომელსაც ისინი ჰბაძავენ. მიაჩნიათ თავიანთი აყვავებისა და ბედნიერების საფუძვლად. უნგრელი ხალხი მიხვდა, განაგრძობს ამხ. მ. რაკოში, რომ მისი ადგილია მშვიდობის 800 მილიონიან ბანაკში, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი. ამ ბანაკის რიგებში იგი პატიოსნად და თავდადებით იბრძვის თავისი უკეთესი მომავლის უზრუნველყოფისათვის, ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ. ყველა ჩვენგანისთვის მაგალითია ის ურყევი ერთიანობა, დარაზმულობა, გაბედული ჯანსაღი შემოქმედებითი კრიტიკა და თვითკრიტიკა, რისი მოწმენიც ავ. ყრილობაზე ვართ და რაც ახალ გამარჯვებათა წყაროს წარმოადგენს. უნგრეთის მშრომელთა პარტია და უნგრელი ხალხი სულით და გულით მხურვალედ უსურვებენ წარმატებას საერთაშორისო რევოლუციური მუშათა მოძრაობის მოწინავე რაზმს, თავისუფლებისა და მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლის ავანგარდს, ბრძოლებში გამოწრთობილს—საბჭოთა კავშირის სახელოვან კომუნისტურ პარტიას და მას XIX ყრილობას.

კვლავ იწყება ოვაცია, როცა თავმჯდომარე აცხადებს, რომ იგი სიტყვას აძლევს დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს. მუშათა მოძრაობის უძველეს მოღვაწეს ამხ. **ჰარი პოლიტს.**

მე და ჯონ გოლანი ამბობს ჰარი პოლიტი, ვამაყობთ იმით, რომ წილად გვხვდა დიდი პატივი—ინგლისის კომუნისტური პარტიის სახელით მხურვალე ძმური სალამი გადავცეთ საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტიის ისტორიულ XIX ყრილობას და მის ბელადს ამხანაგ სტალინს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასწავლებელს, მეგობარსა და დამრიგებელს. ამ სიტყვებს მქუხარე ტაშით ხვდებიან.

ამხ. ჰარი პოლიტი ხაზგასმით აღნიშნავს ყრილობის მნიშვნელობას მთელი მსოფლიოს მუშებისათვის, მათ შორის ინგლისელი მშრომელებისათვის, რომლებიც მშვიდობისა და სოციალიზმისაკენ მისწრაფიან. XIX ყრილობა ცხადყოფს, ისე როგორც არასოდეს, რომ საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი გეგმები, საღი აზრი და ჰუმანურობა წარმოადგენს კაშკაშა შუქურას დასავლეთი სამყაროს ხალხებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ ეკონომიკური კრიზისის პირობებში და ომის იმპერიის ატმოსფეროში. იგი ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ საბჭოთა ხალხი ცხოვრობს შემოქმედებითი შრომისათვის და არა ნგრევისათვის, მხოლოდ მშვიდობისათვის და არა ომისათვის! (ტაში).

XIX ყრილობა სახავს გზებს კომუნიზმის — სრული, თავისუფალი, ბედნიერი და მშვიდობიანი ცხოვრების ამ დიდი იდეალის მისაღწევად, რომელიც მოასწავებს კაცობრიობის მსოფლიო ისტორიის ახალ ერას — სტალინურ ერას. (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

ამხანაგ ჰარი პოლიტის გამოსვლით დამთავრდა ყრილობის საღამოს სხდომა. (საკდესი).

9 ოქტომბრის დილის სხდომა

9 ოქტომბრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა მ. ზ. საბუროვის მოხსენებისა სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივებზე. ყველა ორატორი ერთსულოვნად ამბობს, რომ ახალი ხუთწლედი მძლავრი ეტაპია კომუნიზმის გზაზე, რომ საბჭოთა ადამიანებს ამ გრანდიოზული გეგმის განხორციელება თავიანთ სასიცოცხლო საქმედ მიაჩნიათ და ძალებს არ დაიშურებენ მისი მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ყრილობის დელეგატები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ახალი ხუთწლედი, რომლის მიზანია საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცება, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება, ამასთან ერთად წარმოადგენს უდიდეს წვლილს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საერთაშორისო ბანაკის გაძლიერების საქმეში.

თავმჯდომარეობს ამხ. პატოლიჩევი.

პირველი სიტყვა ეძლევა ამხ. **ანისოვს** (მოსკოვი). იგი ამბობს, რომ ახალი ხუთწლედის შესახებ ყრილობის დირექტივების პროექტში ჩამოყალიბებულია საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობის პროგრამა, საბჭოთა ქვეყნისა, რომელიც მტკიცე რწმენით მიდის კომუნიზმის გზით.

ამხ. ანისოვი ეხება ქალაქ მოსკოვის განვითარების შემდგომ პერსპექტივებს. ამხანაგ სტალინის მითითებით თავრობამ შეადგინა და დამტკიცა დედაქალაქის რეკონსტრუქციის 1951-1960 წლების გენერალური გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ქალაქის შემდგომ კეთილმოწყობას. ამ ათი წლის მანძილზე მოსკოვში განაშენიანდა ა იგოს 10 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

მოსკოვში მაღალი შენობების აგება ნიშნავს სოციალისტური საქალაქო მშენებლობის ახალ ეტაპს და მოწმობს საბჭოთა ხუროთმოძღვრების კულტურის მაღალ დონეს, ჩვენი სამშენებლო ინდუსტრიის ზრდას ეს შენობები ძირეულად ცვლიან დედაქალაქის სახეს.

ჩვენ შეგნებული გვაქვს, აცხადებს ამხ. ანისოვი, მთელი პასუხისმგებლობა, რომელსაც გვაკისრებენ პარტია და მთავრობა დედაქალაქის რეკონსტრუქციის სამუშაოთა დიდი პროგრამის შესრულებისათვის. მოსკოვის პარტიული ორგანიზაცია და მოსკოვის ყველა მშრომელი პირნათლად შეასრულებენ ამ ამოცანას.

ყრილობა მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდება ამხანაგ სტალინის ერთ-ერთი თანამებრძოლის ამხ. **ა. ი. მიქოიანის** გამოჩენას ტრიბუნაზე.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, პარტიის ცენტრალური კომიტეტის საყრილობო დოკუმენტები და ამხანაგ სტალინის გენიალური შრომა სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემების შესახებ სსრ კავშირში, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა, ამბობს ამხ. მიქოიანი, ბრწყინვალე სტალინური გენიით გვნათავს, როგორც განვლილ გზას, ისე სულ უფრო ნათლად ხელს შესახები კომუნისტური საზოგადოებისაკენ წინსვლის გზას.

დარბაზი მხურვალედ ხვდება ამხ. მიქოიანის განცხადებას იმის შესახებ, რომ ჩვენი მძლავრი პარტია, შეიარაღა რა თავის XIX ყრილობაზე, დამსახურებულ ქება-დიდებას ასხმის იმას, ვინც ჩვენ აღგვზრდა, დაგვრაზმა, გადაგვალვინა ყველა სიძნელე და განსაცდელი და მტკიცე რწმენით მიგვიძღვის კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ, — ქება-დიდებას გენიალურ სტალინს. კომუნიზმის ფილოსოფიაზე, მაქსიმალური მოგების მიღებისათვის, ახორციელებენ ფასების გადიდებისა და მშრომელთა დაბალი ხელფასის პოლიტიკას.

ამხ. მიქოიანმა თავისი სიტყვის დასკვნითი ნაწილი მიუძღვნა საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობას. იგი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მოცულობა ამჟამად ერთისამად აღემატება ომამდელს. საქონელბრუნვის ძირითადი მასა ახლა მოდის დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებთან ვაჭრობაზე. ეკონომიკური თანამშრომლობა დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებს შორის, რომლებმაც შექმნეს ახალი მსოფლიო ბაზარი, ვითარდება მათი ეკონომიკის გეგმაშეწონილი აღმავლობის და სახალხო-სამეურნეო გეგმების ამხანაგური შეთანხმების მტკიცე საფუძველზე, ემყარება დიდი და მცირე ხალხების თანასწორუფლებიანობას, ურთიერთ ინტერესების პატივისცემასა და ურთიერთდახმარებას ეკონომიკურ განვითარებაში.

ყრილობა ხანგრძლივი ტაშითა და ოვაციით შეხვდა ამხ. მიქოიანის დასკვნითს სიტყვებს: დიდება დიდ სტალინს.

შემდეგ გამოვიდა ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი ამხ. **ზასიადკო**, რომელმაც აღნიშნა, რომ ახალი ხუთწლიანი გეგმა ცხადყოფს საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დიდ საციცოცხლო ძალას, სოციალიზმის მძლავრ და უძლეველ ძალას, ჩვენი ხალხის მისწრაფებას მშვიდობისადმი. მეხუთე ხუთწლედში ჩვენი ქვეყანა ახალ დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ განვითარების გზაზე.

ომისშემდგომი გეგმის წარმატებით შესრულების შედეგად, ამბობს ამხ. ზასიადკო, სსრ კავშირში ახლა ქვანახშირის ამოღება 84 პროცენტით აღემატება ომამდელ დონეს. ქვანახშირის ამოღების ზრდასთან ერთად განუწყვეტლივ დიდდება შრომის ნაყოფიერება. ომისშემდგომ წლებში ქვანახშირის მრეწველობა ტექნიკურად ხელახლა შეიარაღდა, მიიღო ახალი დიდი წარმადობის საბჭოთა ტექნიკა, დამთავრა ქვანახშირის ამოღების მთელი რიგი ძირითადი პროცესების მექანიზაცია და ახლა ყველაზე მექანიზებულია მსოფლიოში. მას მოეპოვება დასატვირთი მანქანები, ქვანახშირას კომბაინები და სხვა მექანიზმები, რომლებიც მეშახტეებს ათავისუფლებენ მძიმე შრომისაგან.

ამხ. ზასიადკო დაწვრილებით ლაპარაკობს იმ ამოცანებზე, რომლებიც მეშახტეების წინაშეა დასახული ახალ ხუთწლედში. ქვანახშირის ამოღება უნდა გადიდდეს 43 პროცენტით. ეს გადიდება ერთისამად და უფრო მეტად აღემატება მეფის რუსეთში ქვანახშირის მთელ ამოღებას 1913 წელს.

აღნიშნავს რა დონეცის აუზის უდიდეს მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის, ამხ. ზასიადკოს აუცილებლად მიაჩნია განსაკუთრებით გაესვას ხაზი ყრილობის დირექტივებში, რომ საჭიროა დონბასის სწრაფი განვითარება ახალ ხუთწლედში. მან პირობა მისცა ყრილობას, რომ საბჭოთა მეშახტეები პირნათლად შეასრულებენ ხუთწლიანი გეგმით მათ წინაშე დასახულ ამოცანებს, რადგან ეს გეგმა შეესაბამება ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის საარსებო ინტერესებს.

მისალმებისათვის სიტყვა ეძლევა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. **პაკ დენ აის.** მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ეგებება დარბაზი კორეელი ხალხის სახელოვან ქალიშვილს, მშვიდობისათვის გამოჩენილ მებრძოლს. ყრილობა დიდ სიმპათიას უცხადებს კორეის ვგრი ხალხს, როგორც იბრძვის სამართლიანი საქმისათვის, იცავს თავისი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ამერიკელ-იგლისელი ინტერვენტებისაგან. ამხ. პაკ დენ აი ყრილობასა და მთელ საბჭოთა ხალხს გადასცემს კორეის შრომის პარტიისა და კორეის მშრომელთა მხურვალე სალამს. იგი ხაზგასმით აღნიშნავს XIX ყრილობის უდიდეს მნიშვნელობას მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის და განსაკუთრებით კორეის ხალხისათვის.

ამერიკელმა იმპერიალისტებმა, რომლებმაც სერიოზული სამხედრო და პოლიტიკური დამარცხება განიცადეს კორეაში, ამბობს ორატორი, მიმართეს ომის წარმოების ყველაზე საზარელ საშუალებებს — ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ იარაღს. ამერიკელი ინტერვენტების ყოველგვარი მხეცობის მიუხედავად, კორეელ ხალხს და მის გმირ არმიას შრომის პარტიისა და მისი საყვარელი ბელადის კიმ ირ სენის ხელმძღვანელობით მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი საბოლოო გამარჯვება მოიპოვონ საძულველ მტერზე.

ტაშის გრიალში ამხ. პაკ დენ აი კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ყრილობას გადასცემს წითელ დროშას. მიიღო რა იგი, თავმჯდომარე ამხ. პატოლიჩევმა ყრილობის სახელით გმირ კორეელ ხალხს უსურვა გამარჯვება თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. დარბაზი მქუხარე ტაშით ხვდება სიტყვებს კორეისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცების შესახებ. ყველანი ფეხზე დგებიან.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. **ვილკო ჩერვენკოვის** გამოჩენას ტრიბუნაზე. მან ყრილობას გადასცა მეგობარი ბულგარეთის კომუნისტებისა და მთელი ხალხის მხურვალე სალამი. მან გამოთქვა ბულგარეთის კომპარტიისა და მთელი ბულგარელი ხალხის დიდი მადლობა, სიყვარული და ერთგულება მოძმე საბჭოთა ხალხისადმი, თავისი სიბრძნითა და ძალით დიადი ბოლშევიკური პარტიისადმი, გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი. ბულგარელი ხალხი არასოდეს არ დავიწყებს, რომ საბჭოთა ხალხმა რუსმა მეომრებმა ორჯერ გაათავისუფლეს იგი უცხოელთა მონობის ბორკილებისაგან.

შემდეგ ამხ. ვილკო ჩერვენკოვი ლაპარაკობს ბულგარეთის მშრომელთა ცხოვრებაში მომხდარ დიდ ცვლილებებზე, ბულგარელი მშრომელებისა, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას. ბულგარეთი გარდაიქმნა, სწრაფად ვითარდება მრეწველობა, სახლიცვლის სოფლის მეურნეობა, ბულგარეთში აღარ არის სიღატაკე. უმუშევრობა და კრიზისები, იფურჩქნება ეროვნული კულტურა, იზრდება და მტკიცდება მშრომელთა ერთიანობა კომუნისტური პარტიის მეთაურობით.

ჩვენი ხალხი არასოდეს არ დავიწყებს, აცხადებს ორატორი, რომ ბულგარეთის აღორძინება და მოკლე ხანში მიღწეული წარმატებანი სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის მშენებლობაში წარმოუდგენელი იქნებოდა რომ არ ყოფილიყო საბჭოთა კავშირი, მისი მუდმივი, უდიდესი და უანგარო მხარდაჭერა და დახმარება.

ამხ. ვილკო ჩერვენკოვი ამბობს:

დიდება საბჭოთა კავშირის ყოვლისმძლე კომუნისტურ პარტიას!

დიდება იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

ამ სიტყვებს დამსწრენი ხვდებიან მქუხარე ტაშით, რომელიც ოვაციად იქცევა.

სიტყვა ეძლევა ამხ. **სმირნოვს** (ლრკი). იგი ლაპარაკობს XVIII ყრილობიდან XIX ყრილობამდე დიდი სტალინის ხელმძღვანელობით პარტიის მიერ განვლილ სახელოვან ძლევამოსილ გზაზე.

გორკის ოლქი გახდა ერთ-ერთი დიდი სამრეწველო ოლქი დიდად განვითარებული მანქანათმშენებლობით. მეოთხე ხუთწლედის მანძილზე მან სამშობლოს მისცა ბევრი ახალი სახეობის სხვადასხვა მანქანა, მათ შორის უფრო სრულყოფილი მარკების ავტომობილები, მიწისმფლეველები, მძლავრი სამეზიერო დიზელელექტრომავლები. საწარმოებში ფართოდ იყენებენ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, ინერგება წარმოების ნოვატორთა გამოცდილება, ხორციელდება შრომატევადი პროცესების ფართო მექანიზაცია. წარმატებით მიმდინარეობს გორკის უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის ამუშავებაც გათვალისწინებულია მეხუთე ხუთწლიანი გეგმით.

ამხ. სმირნოვი აკრიტიკებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მუშაობას იმის გამო, რომ იგი არასწორად გეგმავს ოლქის მრეწველობის მომარაგებას ნედლეულით.

— მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ყრილობის დირექტივების პროექტში, — ამბობს გზათა მინისტრი ამხ. **ბეშჩევი**, — დასახულია საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების შემდგომი განმტკიცების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის შემდგომი აღმავლობის პროგრამა.

შეეხო რა რკინიგზის ტრანსპორტის განვითარების საკითხებს, ამხ. ბეშჩევმა აღნიშნა, რომ ამჟამად ჩვენი ქვეყნის რკინიგზების ტვირთბრუნვამ ომამდელ დონეს გადააჭარბა, ითქლოებით, 80 პროცენტით, რაც მოწმობს პარტიის უდიდეს ორგანიზატორულ მუშაობას, სოციალისტური ეკონომიკის ძლიერებას. მარტო ომსკის მაგისტრალზე გადაგვაქვს მეტი ტვირთი, ვიდრე ინგლისის ყველა რკინიგზას გადააქვს.

ამხ. ბეშჩევი აღიარებს, რომ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც აღნიშნული იყო ამხ. მალენკოვის მოხსენებაში. გზათა სამინისტრო ყველა საჭირო ზომას მიიღებს მათ აღმოსაფხვრელად.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XIX ყრილობა

პარტიის XIX ყრილობის დირექტივები

სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. მ. ზ. საბუროვის მოხსენება

ამხანაგებო!

თქვენს განსახილველად წარმოდგენილია დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ახალი ხუთწლიანი გეგმა განაგრძობს წინა ხუთწლედების ხაზს — საბჭოთა ეკონომიკის მშვიდობიანი განვითარების, სოციალისტური მეურნეობისა და ხალხის კეთილდღეობის სისტემატური ზრდის ხაზს, ხოლო მისი განხორციელება ჩვენი ქვეყნისათვის იქნება დიდმნიშვნელოვანი ეტაპი სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის კიბეზე.

ჩვენმა ქვეყანამ მეოთხე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საფუძველზე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში დიდი წარმატებანი მოიპოვა. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები ის იყო, რომ აღგვედგინა ომით დაზარალებული ჩვენი ქვეყნის რაიონები, აღგვედგინა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ მნიშვნელოვანი ოდენობით გადაგვეჭარბებინა ამ დონისათვის. როგორც მეოთხე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგების შესახებ თავის დროზე გამოქვეყნებული ცნობით ვიცით, ეს გეგმა წარმატებით შესრულდა, ხოლო გეგმის უმნიშვნელოვანესი დავალებანი შესრულებულია დიდი გადაჭარბებით.

მეოთხე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგად, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ომამდელი დონე დიდად გადაჭარბებულია. სამრეწველო პროდუქციის ოდენობით ხუთწლიანი გეგმა შესრულდა ადრამდე — 4 წელიწადსა და 3 თვეში, რის შედეგადაც მთელი მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 1950 წელს 73 პროცენტით მეტი იყო ვიდრე ომამდე. მრეწველობის განვითარების მაღალი ტემპის მეოხებით მნიშვნელოვანი მასშტაბით განხორციელდა სახალხო მეურნეობის შემდგომი ტექნიკური აღჭურვა და ყველა მისი დარგი შეესებულია უახლესი სამამულო ტექნიკით.

სოფლის მეურნეობის დარგში მნიშვნელოვნად გადაჭარბებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და საერთო მოსავლის, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქციის ომამდელი დონე.

სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების ზრდის შესაბამისად განვითარდა ყველა სახეობის ტრანსპორტი და მნიშვნელოვნად გადაჭარბებულია ტვირთბრუნვის ომამდელი დონე.

სახალხო მეურნეობის აღმავლობის საფუძველზე გაუმჯობესდა მშრომელთა კეთილდღეობა, მნიშვნელოვნად გადაჭარბებულია სახალხო მოხმარების ომამდელი დონე. სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 1950 წელს 1940 წელთან შედარებით 64 პროცენტით გადიდდა. სერიოზულად გაფართოვდა მასობრივი მოხმარების საგნების წარმოება, განხორციელდა ფულის რეფორმა, გაუქმდა ყველა სასურსათო და სამრეწველო საქონლის საბარათო სისტემა, ფართოდ გაიშალა ვაჭრობა, არაერთგზის მოხდა საცალო ფასების შემცირება, კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა მანეთი. მუშებისა და მოსამსახურეების შემოსავლისა და გლეხთა შემოსავლის საერთო თანხა 1950 წელს 1940 წელთან შედარებით 62 პროცენტით გადიდდა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმა შესრულდა შინარსესურსებით, გარედან რაიმე დახმარების, უცხოეთის კრედიტების მიუღებლად. გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაში გადამწყვეტი როლი ჰქონდა საბჭოთა ხალხის თავდადებულ შრომას, საბჭოთა ხალხისა, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია დიდი სტალინის წინამძღოლობით. (ტაში). მეოთხე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებამ გამოიწვია სოციალისტური წყობილების შემდგომი განმტკიცება. იგი სსრ კავშირს ახალი დიდი გამარჯვებაა, რომელმაც უზრუნველყო სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი ზრდა.

მეოთხე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება შესაძლებლობას გვაძლევს მივიღოთ მეხუთე ხუთწლიანი გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას, ჯანმრთელობის დაცვის განვითარებას და ხალხის კულტურული დონის ამაღლებას.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების უმნიშვნელოვანესი დავალებანი შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება.

I. მეხუთე ხუთწლედის ამოცანები მრეწველობის დარგში

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივებით გათვალისწინებულია სამრეწველო წარმოების დონის ამაღლება 1955 წელს დაახლოებით 70 პროცენტით 1950 წელთან შედარებით. ეს იძლევა ნიშნავს, რომ მეხუთე ხუთწლედის ბოლოსათვის მრეწველობის საერთო პროდუქცია ომამდელ დონეს ერთისამად გადააჭარბებს. მრეწველობის მთელი საერთო პროდუქციის ზრდის საშუალო წლიური ტემპი ხუთწლედში განსაზღვრულია დაახლოებით 12 პროცენტით, მათ შორის წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდის ტემპი 13 პროცენტით და მოხმარების საგნების წარმოებისა — 11 პროცენტით. გასულ ხუთწლედში მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდის ტემპი უფრო მაღალი იყო. სამრეწველო პროდუქციის ზრდის რამდენადმე მცირე ტემპი მეხუთე ხუთწლედში წარსულ ხუთწლედთან შედარებით აიხსნება, ერთი მხრივ, მრეწველობაში ღდგენითი სამუშაოების დამთავრებით, როცა წარმოების სწრაფი გადიდება ხდებოდა აღსადგენ საწარმოთა ხარჯზე და, მეორე მხრივ,—იმით, რომ ახალ ხუთწლედში საჭირო პროდუქციის ხარისხის შემდგომი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და ასორტიმენტის ფართოება. ამასთან ერთად, საჭიროა ვედველობაში ვიქონიოთ, რომ საერთო პროდუქციის გადიდების თვითეულ პროცენტს ახალ ხუთწლედში შეესაბამება პროდუქციის თითქმის ორჯერ მეტი მოცულობა, ვიდრე წინა ხუთწლედში.

მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის ზრდის საფუძველია მეტალურგია. ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივებით დაწესებულია, 1955 წელს 1950 წელთან შედარებით თუჯის გამოდნობა გადიდდეს დაახლოებით 76 პროცენტით, ფოლადისა — 62 პროცენტით და ნაგლინის წარმოებისა — 64 პროცენტით. ნაგლინის წარმოების მატება, რაც დაპროექტებული ხუთწლედისათვის, აღემატება მთელ მის გამოშვებას 1940 წელს. მშენებლობისა და მანქანათმშენებლობის საჭიროების უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის უნდა გადიდდეს ნაგლინის დეფიციტურ სახეობათა—სქელფურცლოვანი ფოლადის, წვრილხარისხოვანი ფოლადის, მსხვილი მავთულისა და უჟანგავი ფურცლოვანი ფოლადის წარმოება, აგრეთვე უნდა განვითარდეს ეკონომიურ სახეობათა და პროფილების ნაგლინის წარმოება, გადიდდეს სპეციალური ფოლადებისა და შენადნობების წარმოება და გაუმჯობესდეს მათი ხარისხი.

შავი ლითონების წარმოების აღნიშნული ზრდის უმნიშვნელოვანესი პირობაა მეტალურგიულ საწარმოთა მოქმედი სიმძლავრეების გამოყენების შემდგომი გაუმჯობესება. ამ მიზნით დასახულია შესრულდეს მუშაობა მეტალურგიული პროცესების შემდგომი დაჩქარებისათვის, ამ პროცესებისადმი კონტროლის ავტომატიზაციისა და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის მეტალურგიულ საწარმოებში.

უნდა განხორციელდეს შავი მეტალურგიის ახალ საწარმოთა მშენებლობისა და მოქმედ საწარმოთა გაფართოების დიდი პროგრამა. მეხუთე ხუთწლედში მეოთხე ხუთწლედთან შედარებით საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავება უნდა გადიდდეს თუჯის გამოდნობაში დაახლოებით 32 პროცენტით, ფოლადისა — 42 პროცენტით, ნაგლინის წარმოებაში სულ ცოტა ერთიორად, კოქსისა—80 პროცენტით და რკინის მადნის მოპოვებაში — ერთისამად. სამხრეთის, ურალის, ციმბირის, ცენტრისა და ჩრდილო-დასავლეთის რაიონებში შავი მეტალურგიის შემდგომ განვითარებასთან ერთად უზრუნველყოფილ უნდა იქნას მეტალურგიული მრეწველობის განვითარება ამიერკავკასიის რაიონებში.

მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს ფერადი ლითონების წარმოება. ხუთწლედში რაფინირებული სპილენძის წარმოება გადიდდება დაახლოებით 90 პროცენტით, ტყვიისა — 2,7-ჯერ, ალუმინისა სულ ცოტა — 2,6-ჯერ, თუთიისა — 2,5-ჯერ, ნიკელისა — 53 პროცენტით და კალისა — 80 პროცენტით. ფერადი ლითონების წარმოების ზრდასთან ერთად შემდგომ გაუმჯობესდება და დაინერგება ახალი ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი მარკების ლითონების გამოშვების გადიდებას. ფერადი ლითონების წარმოების დავალებათა შესაბამისად უნდა განვითარდეს ფერადი მეტალურგიის ნედლეულის ბაზა, ამასთანავე ყველა ღონისძიებით განხორციელდეს სამთო და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მეტალურგიულ საწარმოთა მუშაობა მადნეული ნედლეულის გამოყენების დარგში.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში წარმოების ზრდისა და ტექნიკური პროგრესის დასახული ტემპის განხორციელების უმნიშვნელოვანესი პირობაა ჩვენი ქვეყნის შემდგომი ელექტროფიკაცია. ელექტროენერგიის გამომუშავება 1955 წელს 1950 წელთან შედარებით დაახლოებით 80 პროცენტით გადიდდება. ეს შესაძლებლობას მოგვცემს: ავამაღლოთ მრეწველობის ელექტროფიკაციის დონე, ამასთან ფართოდ განვავითაროთ საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია და შემდგომ დავნერგოთ ელექტროგაბურებისა და ელექტროლიზის ახალი მეთოდები, მნიშვნელოვნად გავაფართოოთ ელექტროენერგიის გამოყენება სოფლის მეურნეობაში, მოვახდინოთ რკინიგზების შემდგომი ელექტროფიკაცია და გავადიდოთ ელექტროენერგიის მიწოდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის.

ელექტროენერგიის გამომუშავების დასახული ზრდის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე ენერგეტიკულ სისტემებში ელექტროსიმძლავრეთა რეზერვის გასადიდებლად დასახულია ელექტროსადგურების სიმძლავრეთა მატების მაღალი ტემპი. ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე ხუთწლედში გადიდდება დაახლოებით ერთიორად, ხოლო ჰიდროელექტროსადგურებისა—ერთისამად. ამასთან თბოელექტროსადგურების სიმძლავრის გადიდება პირველ რიგში უნდა უზრუნველვყოთ მოქმედი სადგურების გაფართოებით.

მეხუთე ხუთწლედში მთავრობის გადაწყვეტილებებით ხორციელდება ჰიდროელექტროსადგურებისა და თბოსადგურების ფართო მშენებლობა სათბობის ადგილობრივი წყაროების ბაზაზე.

მშენებლობის პროცესში მყოფ ელექტროსადგურთა შორის უნდა დავასახელოთ, უწინარეს ყოვლისა, კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურები ვოლგაზე, აგრეთვე კახოვკის ჰიდროელექტროსადგური დნეპრზე. კუიბიშევის 2,1 მილიონი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური უნდა ამუშავდეს 1955 წელს, რაც სერიოზულად გააძლიერებს ცენტრალური რაიონებისა და ვოლგისპირეთის ელექტრომომარაგებას. გათვალისწინებულია 400 ათასი ვოლტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურიდან მოსკოვამდე. ასეთი ნაგებობანი არ ახსოვს ელექტრომშენებლობის მსოფლიო პრაქტიკას. კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურთან ერთად მეხუთე ხუთწლედში უნდა აშენდეს აგრეთვე ისეთი დიდი ჰიდროელექტროსადგურები, როგორიც არის კამის, გორკის, მინგეჩაურის, უსტ-კამენგოგორსკისა და სხვა ჰიდროელექტროსადგურები. მათი სიმძლავრე, რომელიც ამ ხუთწლედში ამუშავდება, 2 მილიონამდე კილოვატს შეადგენს. გარდა ამისა, აშენდება სხვა რაიონული და ადგილობრივი ჰიდროელექტროსადგურები. ფართოდ არის გაჩაღებული სტალინგრადისა და კახოვკის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, აგრეთვე დაიწყება მშენებლობა ახალი დიდი ჰიდროელექტროსადგურებისა: ჩებოკსარისა ვოლგაზე, ვოტკინისა კამაზე, ბუხტარმინისა ირტიშზე და მთელი რიგი სხვები. უნდა დაიწყოს სამუშაოები მდინარე ანგარის ენერგეტიკული რესურსების კომპლექსური გამოყენებისათვის იაფი ელექტროენერგიისა და ნედლეულის ადგილობრივი წყაროების ბაზაზე ალუმინის, ქიმიური, სამთამადნო და სხვა დარგების მრეწველობის განსავითარებლად.

სამხრეთის, ურალისა და კუზბასის ელექტრომომარაგების სერიოზულად გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებულია ამ რაიონებში რაიონული და საქარხნო თბოელექტროსადგურების სიმძლავრეთა მნიშვნელოვანი ზრდა. დიდი ელექტროსადგურების მშენებლობასთან ერთად უნდა განხორციელდეს მცირე და საშუალო ელექტროსადგურების მშენებლობა, რათა გაუმჯობესდეს ქალაქებისა და რაიონების ელექტრომომარაგება, ხოლო ქალაქებისა და სამრეწველო საწარმოთა ფართო თბოფიკაციისათვის საჭიროა გაგრძელდეს თბოელექტროცენტრალების მშენებლობა.

დიდ თბოელექტროსადგურებში, როგორც წესი, დაიდგმება მაღალი წნევის ქვაბები და ტურბინები. განხორციელდება ელექტროსადგურებში საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის ფართოდ გამოყენება.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივებში დასახულია ნავთის მრეწველობის შემდგომი მნიშვნელოვანი განვითარება. ნავთობის ამოღება ხუთწლედში გადიდდება დაახლოებით 35 პროცენტით. ნავთობის ამოღების აღნიშნული ზრდის უზრუნველსაყოფად საჭიროა გაძლიერდეს ბურღვის სამუშაოები, ფართოდ დაინერგოს ჭაბურღილების ბურღვის ახალი ხერხები, უფრო ფართოდ იქნას გამოყენებულ ნავთობის ფენებში წნევის შენარჩუნების მეთოდები, ძირითადად დამთავრდეს ნავთობის ამოღების პროცესების ავტომატიზაცია. ნავთობის ამოღების დიდი პროგრამის განსახორციელებლად საჭირო იქნება ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის გაძლიერებული განვითარება და მისი მაქსიმალური მიახლოება ნავთობპროდუქტების მოხმარების რაიონებთან. ხუთწლედში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების სიმძლავრე გადიდდება: ნავთობის პირველადი გადამუშავებისა — დაახლოებით ერთიორად და ნედლეულის კრეკირებისა — 2,7-ჯერ. ამასთან ათვისებულ და დანერგილ უნდა იქნას ნავთობის ღრმა გადამუშავების ახალი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ ნათელი ნავთობპროდუქტების გამოსავლის მნიშვნელოვან გადიდებას. დიდად უნდა განვითარდეს მილსადენებით ნავთობისა და ნავთპროდუქტების ტრანსპორტირება. ხელოვნური თხევადი სათბობის წარმოების განსავითარებლად უნდა ამუშავდეს მძლავრი საწარმოები ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში.

მეხუთე ხუთწლედში უზრუნველყოფილ იქნება გაზის მრეწველობის შემდგომი ფართო განვითარება. ბუნებრივი გაზის და მასთან ერთად ნავთობის გაზის მოპოვება, აგრეთვე ქვანახშირიდან და ფიქალიდან გაზის წარმოება ხუთწლედში გადიდდება დაახლოებით 80 პროცენტით. ფართოვდება გაზის გამოყენება საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, მისი გამოყენება ავტომობილის სათბობად და გაზიდან ქიმიური პროდუქტების მიღება.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდი და ყოველმხრივი დახმარების ეოხებით ომისშემდგომ წლებში ქვანახშირის მრეწველობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და, როგორც ცნობილია, საკავშირო საჭიროებანი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულ იქნა. ამასთან ერთად, ეს ზრდა ვერ ეუზრუნველყოფს ეროვნული მეურნეობის ზრდადი მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილებას. ამ მიზეზთა გამო, ეროვნული ეკონომიკა ადგილობრივ საწვავ-ენერგეტიკულ ბაზაზე, ადგილობრივ ნედლეულზე, ადგილობრივ ენერგეტიკულ ბაზაზე, ადგილობრივ ენერგეტიკულ ბაზაზე, ადგილობრივ ენერგეტიკულ ბაზა

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XIX ყრილობა

ამხ. მ. ზ. საბუროვის მოხსენების გაგრძელება

საბჭოთა მრეწველობა ელექტროსადგურების, ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნების, ქვანახშირის შახტების, მინერალური სასუქის ქარხნების მშენებლობაში, რათა უზრუნველვყოთ მრეწველობის ამ დარგების საჭირო განვითარება შემდგომ წლებში.

ახალ ხუთწლედში უნდა გავაუმჯობესოთ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობის გეოგრაფიული განლაგება, რათა მრეწველობა კიდევ უფრო დაუახლოვოთ ნედლეულისა და სათბობის წყაროებს. ეს საშუალებას მოგვცემს მოვსპოთ რკინიგზებზე არარაციონალური და მეტისმეტად შორი ტვირთზიდვა.

იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილება ნედლეული და სათბობი რესურსებით, მეხუთე ხუთწლედში გათვალისწინებულია წიაღის ბუნებრივ სიმდიდრეთა ძიების სამუშაოთა შემდგომი განვითარება, მთამადნეულის და პირველ რიგში ფერადი და იშვიათი ლითონების, კოქსვადი ქვანახშირის, ალუმინის ნედლეულის, ნავთობის, რკინის მდიდარი მადნისა და სხვა სახეობათა სამრეწველო ნედლეულის მარაგის გამოვლინება.

მრეწველობაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში სამშენებლო პროგრამის წარმატებით შესრულების უმნიშვნელოვანესი პირობაა სამშენებლო ინდუსტრიის შემდგომი განვითარება, არსებული ორგანიზაციების განმტკიცება და გაფართოება, აგრეთვე ახალი სამშენებლო ორგანიზაციების შექმნა დიდი მშენებლობის რაიონებში.

ამჟამად სამშენებლო ინდუსტრიას შეუძლია გადაწყვიტოს გაცილებით უფრო დიდი და რთული ამოცანები, ვიდრე წარსულ წლებში. ომისშემდგომ წლებში შეიქმნა და მნიშვნელოვნად გაფართოვდა ისეთი დიდი სამშენებლო ორგანიზაციები, როგორიც არის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო, რომელიც უმთავრესად ახორციელებს შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოთა მშენებლობას, მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო, ელექტროსადგურების, ნავთის მრეწველობის საწარმოების, ქვანახშირის შახტებისა და ჭრილების, რკინიგზებისა და საავტომობილო გზების, მეტროების, მაღალი სახლების მშენებელი მძლავრი ორგანიზაციები და სხვები. მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო, რომელიც მოეწყო მშენებლობის სახალხო კომისარიატის ბაზაზე, ახლა ასრულებს ორჯერ მეტი, ხოლო მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროსთან ერთად სამჯერ და კიდევ უფრო მეტი მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს, ვიდრე მშენებლობის სახალხო კომისარიატი ასრულებდა 1940 წელს. ელექტროსადგურების სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციები ამჟამად ასრულებენ ხუთჯერ და კიდევ უფრო მეტი მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს, ვიდრე ისინი 1940 წელს ასრულებდნენ.

მიუხედავად ამისა, საჭიროა სამშენებლო ორგანიზაციების შემდგომი სერიოზული განმტკიცება. დირექტივებში ხუთწლიანი გეგმის შესახებ დასახულია პირველ რიგში განმტკიცდეს მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს, ელექტროსადგურების სამინისტროს და ნავთის მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციები, აგრეთვე მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ენერგეტიკული და მეტალურგიული მოწყობილობის, ნავთობაპარატურის, დიდი და უნიკალური ჩარხმშენებლობის, მძიმე სამჭედლო-საწნეხი მანქანების და საამწეო-სატრანსპორტო მოწყობილობის ქარხნების მშენებლობას.

საჭიროა უზრუნველვყოთ მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ დანერგვა, საშენი დეტალების, კონსტრუქციების, ბეტონის, ხსნარებისა და სხვა ნახევარფაბრიკატების საქარხნო გზით წარმოების ყველა ღონისძიებით გაფართოება. ამასთან დაკავშირებით დასახულია გადიდდეს ლითონის კონსტრუქციების დამამზადებელი ქარხნების სიმძლავრეები სულ ცოტა ერთიორად, საჭირო რაოდენობით აშენდეს ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციების დამამზადებელი ქარხნები, გაფართოვდეს არსებული და მოეწყოს ახალი რაიონული კარიერები, სადაც განხორციელდება ქვის, ღორღის, ხრეშისა და ქვიშის, აგრეთვე ბუნებრივი ქანების ცალობრივი ქვის მოპოვებისა და დამუშავების კომპლექსური მექანიზაცია.

საჭიროა უზრუნველვყოთ ძირითადი სამშენებლო სამუშაოების მექანიზაცია და მშენებლობის ცალკეული პროცესების მექანიზაციიდან კომპლექსურ მექანიზაციაზე გადასვლა, ხუთწლედის მანძილზე დასახულია გადიდდეს მშენებლობაში ექსკავატორების პარკი, დაახლოებით, 2,5-ჯერ, სკრეპერებისა — 3-ჯერ, ბულდოზერებისა — 4-ჯერ, მოძრავი ამწეებისა 4,5-ჯერ. მშენებლები მოვალენი არიან სერიოზულად გაუმჯობესონ მანქანებისა და მექანიზმების სულ უფრო მზარდი პარკის გამოყენება.

საჭიროა გავაუმჯობესოთ მშენებლობის საპროექტო საქმე, არ დავუშვათ ზედმეტობა დაპროექტების დროს, შევამციროთ დაპროექტების ვადები და დროზე უზრუნველვყოთ მშენებლობა პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვებით. ამისათვის საპროექტო ორგანიზაციები უნდა განმტკიცდეს კვალიფიციური კადრებით და მშენებლობაში ფართოდ დანერგოს ტიპობრივი დაპროექტება.

(გაგრძელება იქნება).

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის სამანდატო კომისიის მოხსენება

მომხსენებელი ამხ. ნ. მ. პეგოვი

ამხანაგებო! სამანდატო კომისიის დავალებით ხება მიბოძეთ მოვახსენო ყრილობას კომისიის მუშაობის შედეგები.

სამანდატო კომისიამ შეამოწმა პარტიის XIX ყრილობისათვის არჩეული თვითეული დელეგატის რწმუნებანი და გამოარკვია, რომ არჩევნები ყველგან მოეწყო წარმომადგენლობის ნორმებისა და ყრილობის დელეგატების არჩევის წესის შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სრული შესაბამისობით. რუსეთის სფსრ პარტიულ ორგანიზაციებში ყრილობის დელეგატებს ირჩევდნენ ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების პარტიულ კონფერენციებზე, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, გარდა უკრაინისა, — მოკავშირე რესპუბლიკათა კომუნისტური პარტიების ყრილობებზე. უკრაინაში პარტიის XIX ყრილობის დელეგატები არჩეულ იქნენ საოლქო პარტიულ კონფერენციებზე. კომუნისტები, რომლებიც საბჭოთა არმიის, საზღვრო-საზღვაო ფლოტისა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სასაზღვრო ნაწილების პარტიულ ორგანიზაციებში ირიცხებიან, პარტიის XIX ყრილობის დელეგატებს ირჩევდნენ სათანადო ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად საოლქო, სამხარეო პარტიულ კონფერენციებზე ან მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობებზე.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, როგორც ცნობილია, დაავწესა პარტიის XIX ყრილობაზე წარმომადგენლობის შემდეგი ნორმები: ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმით პარტიის ხუთი ათას წევრზე და ერთი დელეგატი სათათბირო ხმით პარტიის წევრობის ხუთი ათას კანდიდატზე. ყველა პარტიულ კონფერენციასა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობებზე ყრილობის დელეგატების არჩევნების დროს წარმომადგენლობის ეს ნორმები დაცული იყო. დელეგატების არჩევნები ყველგან მოეწყო პარტიის წესდების თანახმად დახურული (ფარული) კენჭისყრით. ყრილობისათვის არჩეულმა ყველა დელეგატმა მიიღო ხმების საჭირო უმრავლესობა.

სამანდატო კომისია აღნიშნავს, რომ პარტიის XIX ყრილობის დელეგატების არჩევნები ყველა პარტორგანიზაციაში მოეწყო სწორად, არ მომხდარა არჩევნების დადგენილი წესის რაიმე დარღვევა. კომისიამ ყრილობისათვის არჩეული ყველა დელეგატის რწმუნებანი კანონიერად ცნო.

პარტიის XIX ყრილობის დელეგატების არჩევნებმა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ყველა ყრილობასა და პარტიულ კონფერენციებზე ჩაიარა კომუნისტებისა და მთლიანად პარტიული ორგანიზაციების დიდი აღმავლობის, მაღალი აქტივობისა და ორგანიზებულობის ვითარებაში, საქმიანი, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის ნიშნით.

ყრილობის დელეგატების არჩევნებმა დაგვანახვა ჩვენი პარტიის ურყევი ერთიანობა, ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი ყველა კომუნისტის უსაზღვრო ერთგულება, მათი მზადყოფნა — თავდადებით იბრძოლონ კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის. ჩვენი პარტია თავის XIX ყრილობას შეეგება ერთიანი და მძლავრი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, თავისი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო მჭიდროდ დარაზმული. (მეხუთე ტაში).

* * *

ამხანაგებო! პარტიის XIX ყრილობაზე სულ არჩეულია 1.192 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 167 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით. სამანდატო კომისია მოგახსენებთ, რომ ყველა ისინი ესწრებიან ყრილობას.

მასებთან პარტიის კავშირის შემდგომ განმტკიცებას, ხალხში მისი ავტორიტეტის გაძლიერებას მკაფიოდ მოწმობს პარტიის რიგების ზრდა. 1952 წლის 1 ოქტომბრისათვის, პერსონალური აღრიცხვის ცნობებით, საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) ირიცხება პარტიის 6.013.259 წევრი და პარტიის წევრობის 868.886 კანდიდატი სულ კი 6.882.145 კაცი. XVIII ყრილობისათვის პარტიის რიგებში იყო 2.477.666 კაცი, მათ შორის პარტიის 1.588.352 წევრი და პარტიის წევრობის 888.814 კანდიდატი. მაშასადამე, XVIII და XIX ყრილობებს შორის განვლილი დროის მანძილზე პარტიის რიცხვობრივი შემადგენლობა გადიდდა 4.404 ათასი კაცით.

ცნობილია, რომ დიდი სამამულო ომის წლებში ჩვენმა პარტიამ დაკარგა ბევრი თავისი სახელოვანი შვილი, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ ფრონტებზე და პარტიზანთა რაზმებში მტრის ზურგში. მიუხედავად ამისა, XVIII და XIX ყრილობებს შორის განვლილ პერიოდში პარტიის წევრთა და კანდიდატთა რაოდენობა არა თუ არ შემცირდა, არამედ თითქმის ერთისაგად გადიდდა, რაც მკაფიოდ მოწმობს ჩვენი პარტიული დროშის უდიდეს მიმზიდველ ძალას, დიადი კომუნისტური პარტიისადმი საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას. (ტაში).

* * *

რუსეთის ფედერაციის ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების პარტიული კონფერენციების მიერ ყრილობისათვის არჩეული დელეგაციებიდან ყველაზე დიდია მოსკოვის დელეგაცია, რომელშიც შედის 129 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით; ისინი პარტიის 646 ათასი წევრის წარმომადგენელნი არიან. ამასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება თუ ვიტყვით, რომ XIV ყრილობისათვის მთელი ჩვენი პარტიის რიგებში ირიცხებოდა 643 ათასი წევრი. ლენინგრადის დელეგაციაში შედის 60 დელეგატი გადამწყვეტი ხმით. გორკის დელეგაციაში — 25, სვერდლოვსკის — 23, როსტოვის — 18, სარატოვის — 18, ხაბაროვსკის —18, კრასნოდარის — 17, ვორონეჟის — 17, ზღვისპირეთის — 17, ჩელიაბინსკის — 16, კუიბიშევის — 16, ბაშკირეთის — 15, თათრეთის — 15, მოლოტოვის — 14, კემეროვოს — 14, ალტაის დელეგაციაში—14 დელეგატი.

უკრაინის კომუნისტურ პარტიას ყრილობაზე წარმოადგენს 153 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით, აქედან კიევის საოლქო პარტორგანიზაციის დელეგაციას ჰყავს 20 დელეგატი, ხარკოვისას — 16, სტალინოსას — 15, დნეპროპეტროვსკისას — 12 დელეგატი. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ყველაზე დიდი დელეგაციები არიან აგრეთვე ყაზახეთის დელეგაცია, რომელსაც თავის შემადგენლობაში ჰყავს 42 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით, საქართველოსი—32, ბელორუსიისა—28, უზბეკეთისა — 25 და აზერბაიჯანისა—23 დელეგატი.

უნდა ითქვას, რომ ბევრ პარტიულ ორგანიზაციას შეეძლო ამ ყრილობაზე ჰყოლოდა იმაზე მეტი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით, რაც მათ ჰყავთ, ამ ორგანიზაციებში უკეთ რომ მუშაობდნენ კანდიდატებთან. საკანდიდატო სტაჟი, როგორც ეს სამართლიანად ნათქვამია ამხანაგ ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში, ხშირად იქცევა ცარიელ ფორმალობად და კანდიდატთა მნიშვნელოვან ნაწილს მთელი რიგი წლების მანძილზე უჭიანურდება. უკრაინის პარტორგანიზაციაში არის დაახლოებით 62 ათასი სტაჟგადაცილებული კანდიდატი, მოსკოვისაში — 34 ათასი, ყაზახეთისაში — 22 ათასზე მეტი, უზბეკეთისაში — 17 ათასზე მეტი და ლენინგრადისაში—14 ათასი კაცი.

საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ არა მარტო გადიდდა ჩვენი პარტიის რიცხვობრივი შემადგენლობა, არამედ მნიშვნელოვნად გაიზარდა პარტიული ორგანიზაციების რაოდენობაც.

ამ ყრილობისათვის პარტიის შემადგენლობაში გვყავს: მოკავშირე რესპუბლიკათა 15 კომპარტია, 8 სამხარეო, 167 საოლქო, 36 საოკრუგო, 544 საქალაქო და 4.886 რაიონული პარტიული ორგანიზაცია.

ჩვენი პარტიის ყრილობის დელეგატების არჩევნებში პირველად მიიღეს მონაწილეობა მთელი რიგი იმ რესპუბლიკების, ოლქების, ქალაქებისა და რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდნენ XVIII და XIX ყრილობებს შუა განვლილ პერიოდში. მათ რიცხვს ეკუთვნიან უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში შესული ოთხი ახალი მოკავშირე რესპუბლიკის: ლიტვის სსრ, მოლდავეთის სსრ, ლატვიის სსრ და ესტონეთის სსრ პარტიული ორგანიზაციები.

ნება მიბოძეთ რამდენადმე უფრო დაწვრილებით შევეხო ცნობებს ბალტიისპირა რესპუბლიკათა კომპარტიების მიერ XIX ყრილობისათვის არჩეული დელეგაციების შესახებ. ეს ცნობები დამაჯერებლად მოწმობენ პარტიის ავტორიტეტის განუხრელ ზრდას და მისდამი უსაზღვრო ნდობას იმ ახალი რესპუბლიკების მშრომელთა მხრივ, რომლებიც შედარებით ცოტა ხნის წინათ განთავისუფლდნენ კაპიტალისტური მონობისაგან. 1941 წლის 1 იანვრისათვის ლატვიის კომპარტია აერთიანებდა სულ 2.800 კომუნისტს. ჩვენს ყრილობაზე ლატვიის დელეგაცია წარმოადგენს პარტიის 50 ათას წევრს. ლიტვის კომპარტიის დელეგაცია XIX ყრილობაზე წარმოადგენს 36 ათას კომუნისტს, 1941 წლის იანვარში კი ლიტვის კომპარტიაში სულ 2.500-მდე წევრი ირიცხებოდა. თორმეტი წლის წინათ, როცა ესტონელი ხალხი სოციალიზმის გზას დაადგა, ესტონეთის კომპარტია ორი ათას კაცს ეერთიანებდა. ამჟამად ესტონეთის პარტიულ ორგანიზაციაში დაახლოებით 31 ათასი კომუნისტია.

ბალტიისპირა რესპუბლიკები, რომლებიც სოციალიზმის მშენებლობას პრაქტიკულად მხოლოდ ომის შემდეგ შეუდგნენ, მოკლე ხანში სხვა მოძმე რესპუბლიკების ხალხთა დახმარებით არა თუ საგრძნობლად წავიდნენ წინ ინდუსტრიალიზაციის საქმეში, არამედ წვრილი გლეხური მეურნეობის სოციალიზმის გზაზე გადაყვანაც განახორციელეს, დაამთავრეს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, წარმატებით ავითარებენ ფორმით ეროვნულ და შინაარსით სოციალისტურ კულტურას.

პარტიის ყრილობაზე პირველად არიან წარმოდგენილი აგრეთვე უკრაინის დასავლეთი ოლქების პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც 100 ათასზე მეტ კომუნისტს აერთიანებენ, და ბელორუსიის დასავლეთი ოლქების პარტიული ორგანიზაციები, რომლებშიც პარტიის 33 ათასამდე წევრი და კანდიდატი ირიცხება.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ახალი, კალინინგრადის ოლქის პარტიული ორგანიზაციის დელეგატები. ეს ოლქი შეიქმნა ყოფილი აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენდა იმპერიალისტური რეაქციის ბუდის და მრავალი საუკუნის განმავლობაში პლაცდარმს ჩვენს სამშობლოზე თავდასხმისათვის.

XIX ყრილობის დელეგატების არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ისეთი რაიონების კომუნისტებმა, როგორიცაა სამხრეთი სახალინი და კურილის კუნძულები, რომლებიც ჩვენი სამშობლოს ფარგლებში გაერთიანდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის XVIII და XIX ყრილობებს შორის განვლილ პერიოდში ახლად შეიქმნა ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია საწარმოებში, მშენებლობებზე, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სასწავლებლებში. ამ ხნის მანძილზე პირველადი პარტიული ორგანიზაციების რაოდენობა გადიდდა 237.245 ორგანიზაციით, ანუ სამჯერ და უფრო მეტად.

ყველაზე მეტი ახალი პარტიული ორგანიზაცია შეიქმნა მშენებლობებზე, სადაც მათი რაოდენობა თითქმის ოთხჯერ გადიდდა. მარტო უკანასკნელ წლებში შეიქმნა კომუნიზმის დიად მშენებლობათა დიდი პარტიული ორგანიზაციები: კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურისა, სადაც 2.550 კომუნისტია, სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურისა — 1.862 კომუნისტი, თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობისა—747, კახოკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა — 640, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობისა — პარტიის 759 წევრი და კანდიდატი. დიდი პარტიული ორგანიზაციები შეიქმნა აგრეთვე ბევრ სამრეწველო საწარმოში, რომლებიც მწყობრში ჩადგნენ პარტიის XVIII და XIX ყრილობებს შუა განვლილ პერიოდში. მათ შორის არიან პარტიული ორგანიზაციები: კუიბიშევის სახელმწიფო საკისარის ქარხნისა, რომელიც აერთიანებს 1.224 კომუნისტს, მოსკოვის მცირელიტრაჟიანი ავტომობილების ქარხნისა — 1.170, ალტაის სატრაქტორო ქარხნისა — 1.096, სტალინის სახელობის ურალის ავტოქარხნისა — 1.090 კომუნისტი, ლიპეცკის, მინსკისა და ვლადიმირის სატრაქტორო ქარხნების, ტულის თვითმავალი კომბაინების ქარხნის, ჭუთაისისა და მინსკის საავტომობილო ქარხნებისა და ბევრი სხვა საწარმოს პარტიული ორგანიზაციები.

ღირსშესანიშნავია, რომ პარტიის XVIII ყრილობის შემდეგ პირველადი ორგანიზაციების რაოდენობა კოლმეურნეობებში გადიდდა ექვსჯერ და მეტად, ხოლო სასწავლებლებში—თითქმის შვიდჯერ.

ასეთია ძირითადი მონაცემები პარტიის XIX ყრილობის დელეგატების რიცხვობრივი შემადგენლობისა და ყრილობაზე წარმოდგენილი პარტიული ორგანიზაციების შესახებ.

* * *

ყრილობის დელეგატთა შემადგენლობაში არიან პარტიული და სახელმწიფოებრივი მუშაობის, სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის მუშაკები.

დამახასიათებელია ყრილობის დელეგატთა შემადგენლობის მონაცემები განათლების შესახებ. ყრილობის 1.192 დელეგატიდან უმაღლესი განათლება აქვს 709 კაცს, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება—84, საშუალო—223 და დაუმთავრებელი საშუალო და დაწყებითი განათლება—176 დელეგატს.

ეს მონაცემები პარტიის XIX ყრილობის დელეგატთა შემადგენლობის შესახებ ასახავენ ჩვენი პარტიის წევრებისა და მთელი საბჭოთა ხალხის კულტურული დონის განუხრელ აღმავლობას.

უმაღლესი განათლების მქონე 709 დელეგატს შორის 282 ინჟინერია, 68 აგრონომი, ზოოტექნიკოსი და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტი, 98 მასწავლებელი, 18 ეკონომისტი, 11 ექიმი, 7 იურისტი. ის გარემოება, რომ ყრილობის დელეგატთა შემადგენლობაში მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგის ესოდენ ბევრი სპეციალისტია, ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ ჩვენს ქვეყანაში დიდად აფასებენ და გაბედულად აწინაურებენ კულტურულ ადამიანებს, რომლებმაც კარგად იციან თავიანთი საქმე და უნარი აქვთ წინ წასწინონ იგი.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობს სამეცნიერო ხარისხის და წოდების მქონე 65 დელეგატი, სტალინური პრემიის 58 ლაურეატი. მათ შორის, მეცნიერებისა და ტექნიკის ცნობილ მოღვაწეებთან ერთად, არიან წარმოების მუშები და კოლმეურნეები, რომლებიც ამ მაღალი ჯილდოს ღირსი გახდნენ თვალსაჩინო გამოგონებებისა და საწარმოო მუშაობის მეთოდების ძირეული გაუმჯობესებისათვის.

* * *

ამხანაგებო! ცნობები პარტიული სტაჟისა და ასაკის მიხედვით ყრილობის დელეგატთა შემადგენლობის შესახებ მოწმობენ, რომ ჩვენი პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს ამხანაგ სტალინის მითითებას — პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი მუშაობის ერთ საერთო ორკესტრში შევახამოთ, შეეაერთოთ ძველი და ახალგაზრდა კადრები. გაბედულად აწინაურებს რა ახალ ახალგაზრდა მუშაკებს, პარტია სრულად იყენებს ხელმძღვანელო სამუშაოზე ძველ კადრებს, რომლებსაც დიდი გამოცდილება და საქმის ცოდნა აქვთ.

ყრილობის დელეგატების შემადგენლობა პარტიული სტაჟის მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად: 1917 წლამდე — 1,2 პროცენტი; 1917 წლიდან 1920 წლამდე — 6,2 პროცენტი; 1921 წლიდან 1930 წლამდე—36,4 პროცენტი; 1931 წლიდან 1940 წლამდე—36,0 პროცენტი; 1941 წლიდან 1945 წლამდე—16,1 პროცენტი; 1946 წლიდან და შემდეგ—4,1 პროცენტი.

ამრიგად, პარტიის წევრები, სტაჟით 1920 წლამდე, რომლებმაც არალეგალური მუშაობისა და სამოქალაქო ომის დიდი სკოლა გაიარეს, ყრილობის დელეგატთა შემადგენლობაში 7,4 პროცენტია. პარტიის წევრები სტაჟით 1921 წლიდან 1940 წლამდე ყრილობის დელეგატთა შემადგენლობაში 72,4 პროცენტია.

ასაკის მიხედვით: ყრილობის დელეგატები 35 წლამდე—5,9 პროცენტი; 36 წლიდან 40 წლამდე—17,7 პროცენტი, 41 წლიდან 50 წლამდე — 61,1 პროცენტი და 50 წელზე ზევით—15,3 პროცენტი.

პარტიის ყრილობაზე არჩეული არიან 37 ეროვნების დელეგატები: რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, აზერბაიჯანელები, ქართველები, სომხები, ყაზახები, უზბეკები, თურქმენები, ყირგიზები, ტაჯიკები, კარელები, ლიტველები, ლატვიელები, ესტონელები, მოლდაველები, თათრები, ბაშკირები, ბურიატები, ჩუვაშები, მორდველები, უდმურტები, ოსები, კომი, იაკუტები, მარები, დაღისტნის ეროვნებანი და სხვები.

ყრილობის დელეგატთა მრავალეროვანი შემადგენლობა საუკეთესოდ მოწმობს იმას, რომ ლენინ—სტალინის პარტია ჩვენი სახელმწიფოს ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის განხორციელებაა და რომ მას მაღლა უჭირავს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა.

* * *

ყრილობის გადამწყვეტი ხმის უფლების დელეგატთა შორის 147 ქალია, ანუ დელეგატთა საერთო რიცხვის 12,3 პროცენტი. XVIII ყრილობაზე ქალთა პროცენტი უდრიდა 9,1-ს. ეს ცნობები მოწმობენ პარტიის მნიშვნელოვან მუშაობას ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე ქალთა დაწინაურების საქმეში.

ივანოვოს საოლქო პარტორგანიზაციის მიერ გადამწყვეტი ხმის უფლებით არჩეულ დელეგატთა შორის ქალები 50 პროცენტს შეადგენენ. კოსტრომის დელეგაციის შემადგენლობაში ქალთა რიცხვი უდრის 33 პროცენტს. კალინინისა და იაროსლავლის დელეგაციების შემადგენლობაში — 25 პროცენტს. გორკისა და უზბეკეთის დელეგაციების შემადგენლობაში—20 პროცენტს.

პარტიის XIX ყრილობაზე დელეგატებად არჩეულ ქალთა შემადგენლობაშია: საოლქო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების 6 მდივანი, პარტიის საქალაქო, საოკრუგო და რაიონული კომიტეტების 36 მდივანი, პირველადი პარტორგანიზაციების 7 მდივანი, 10 ხელმძღვანელი საბჭოთა მუშაკი, საწარმოთა 4 დირექტორი, კოლმეურნეობათა 19 თავმჯდომარე, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების 3 დირექტორი. ყრილობის დელეგატ ქალთა შორის არის 14 სოციალისტური შრომის გმირი, 6 სტალინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 20 დეპუტატი და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების 26 დეპუტატი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში ხელმძღვანელ სამუშაოზე ქალთა დაწინაურების საქმეს, როგორც ჩანს საკმაო ყურადღებას არ აქცევენ. სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ზოგიერთი დიდი დელეგაციის შემადგენლობაში ქალები ძალიან ცოტაა. მაგალითად, ბელორუსიის დელეგაციაში, რომელსაც 28 დელეგატი ჰყავს გადამწყვეტი ხმის უფლებით, მხოლოდ 2 ქალია, მაშინ როცა ბელორუსიაში პარტიის წევრთა შორის 18 ათასზე მეტი ქალია. კრასნოდარის სამხარეო პარტიული ორგანიზაციის შემადგენლობაში 12 ათასზე მეტი ქალია, ყრილობაზე კი 17 დელეგატიდან მხოლოდ ერთი ქალია. კიევის დელეგაციაში 20 დელეგატიდან მხოლოდ ერთი ქალია. მოლდავეთის კომპარტიიდან გადაწყვეტი ხმის უფლებით არჩეულ დელეგატთა შორის არც ერთი ქალი არ არის. (დარბაზში გამოცოცხლებაა).

* * *

ნება მიბოძეთ მოგახსენოთ სათათბირო ხმის უფლებით არჩეულ დელეგატთა შემადგენლობის შესახებ.

ყრილობისათვის სათათბირო ხმის უფლებით არჩეულ 167 დელეგატიდან 69 კაცს ანუ 41,3 პროცენტს აქვს უმაღლესი განათლება, 68 კაცს ანუ 40,7 პროცენტს — დაუმთავრებელი უმაღლესი და საშუალო განათლება.

პარტიული სტაჟის მიხედვით სათათბირო ხმის უფლების მქონე დელეგატები ნაწილდებიან შემდეგნაირად: 1920 წლამდე — 2,4 პროცენტი, 1921 წლიდან 1930 წლამდე — 24,5 პროცენტი, 1931 წლიდან 1940 წლამდე — 35,9 პროცენტი, 1941 წლიდან და შემდეგ 37,2 პროცენტი.

* * *

სამანდატო კომისიას საჭიროდ მიაჩნია მოგახსენოთ, რომ პარტიის XIX ყრილობის 66 დელეგატს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ თვალსაჩინო მიღწევებისა და თავდადებული მუშაობისათვის საბჭოთა მთავრობის მიერ მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება.

ჩვენი ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებს 62 საბჭოთა კავშირის

(დასასრული მე-4 გვერდზე)

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XIX ყრილობა

ამხ. ნ. მ. პეგოვის მოხსენების დასასრული

გმირი, რომლებმაც მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში ასახელეს ჩვენი სამშობლო, გმირი საბჭოთა არმიის ძალა და ძლევამოსილება. **(ტაში).**

ამხანაგებო! დელეგატთა შემადგენლობა ცხადყოფს, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიის XIX ყრილობის დელეგატებად აირჩიეს ჩვენი პარტიის საუკეთესო, ყველაზე აქტიური წევრები, ისინი, ვინც გმირულად იბრძოდა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დიდი სამამულო ომის წლებში და თავდადებით შრომობს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი სტალინური პროგრამის განხორციელებისათვის. **(ტაში).**

მრავალ, მრავალ წელს სიცოცხლე და ჯანმრთელობა პარტიისა და ხალხის სასიხარულოდ ჩვენს დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს! **(ხანგრძლივი ტაში).**

ბოღესლავ ბეერუჯის სიტყვა

(პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე)

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო! უდიდესი აღფრთოვანებით მინდა გადმოგცეთ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, პოლონეთის მუშათა კლასისა და პოლონელი ხალხის უაღრესად მხურვალე ძმური სალამი. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

დიადი, გმირი კომუნისტური პარტიის XIX ყრილობა, პარტიისა, რომელიც ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით შეიქმნა და აღიზარდა, უდიდესი მოვლენაა მთელი მსოფლიოს მშრომელი მასების ცხოვრებაში. იგი ასეულ მილიონობით მშრომელთა მგზნებარე და სასიხარულო გრძნობებს იწვევს დედამიწის ყველა კუთხეში. ძმური მადლიერების, მეგობრობისა და სოლიდარობის განსაკუთრებით მხურვალე გრძნობები მინდა გადავცე ყრილობას პოლონეთის მშრომელებისაგან.

მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მობრუნების მომენტი გახდა ბევრი ხალხის ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი დიდი გარდატეხა მოახდინა მან პოლონელი ხალხის ბედსა და ცხოვრებაში, მისი აღორძინებისა და აყვავების საძირკველი გახდა.

ბევრ, განუზომლად ბევრ რამეს უნდა უმადლოდნენ პოლონელი მშრომელები საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბ), მის პოლიტიკას, მის ბრძოლას, მის გამარჯვებებსა და მიღწევებს. ისინი უნდა უმადლოდნენ მას ყველაფერს, რაც მათთვის ყველაზე უფრო ძვირფასი იყო და არის: ფაშისტური მონობისაგან განთავისუფლებას, ეროვნული დამოუკიდებლობის დამკვიდრებას, სახალხო მეურნეობისა და კულტურის სწრაფ განვითარებას, თავიანთი სახალხო სახელმწიფოს შინაგანი ძალების ზრდას.

განმათავისუფლებელი საბჭოთა არმიის გამარჯვების მეოხებით პოლონეთს დაუბრუნდა მისი ძველთაძველი მიწა-წყალი ნისაზე, ოდერსა და ბალტიის ზღვის სანაპიროზე. ხელი აიღო რა მოძმე ხალხების—უკრაინელი, ბელორუსი, ლიტველი ხალხების სამარცხვინო ჩაგვრაზე, სახალხო პოლონეთი ერთგვაროვან ეროვნულ სახელმწიფოდ გადაიქცა. სახალხო ხელისუფლებამ მოსპო მემამულური და კაპიტალისტური საკუთრება მიწის რეფორმისა და მრეწველობის ნაციონალიზაციის გზით. ეკონომიკურად სუსტი და უცხოელი კაპიტალისტების მიერ ყლმობლად ექსპლოატირებული პოლონეთი რვა წლის განმავლობაში სწრაფი ინდუსტრიალიზაციისა და სწრაფად მზარდი ეკონომიკური ძლიერების სახელმწიფოდ გადაიქცა. დღეს პოლონეთის ნაციონალიზებული მრეწველობა იძლევა ერთისამად უფრო მეტ პროდუქციას, ვიდრე ომამდე. ეკონომიკური და ტექნიკური გარდაქმნების ბაზაზე პოლონეთში უდიდესი კულტურული რევოლუცია ხდება. პოლონელი ხალხი სწრაფი ტემპით იქცევა ახალ, სოციალისტურ ერად. გადამწყვეტ როლს ამ ისტორიულ გარდაქმნებში, რომლებსაც დღეს ცხოვრების სარბიელზე გამოჰყავთ პოლონეთის ხალხთა მასების ძლიერი ძალები და შემოქმედებითი ტალანტები, ასრულებს საბჭოთა ხალხების ძმური დახმარება, მეგობრობა და მაგალითი, ხალხებისა, რომლებსაც ხელმძღვანელობს და ძლევამოსილად წინ მიუძღვის კომუნიზმისაკენ საკავშირო კ. პ. (ბ). **(მქუხარე ტაში).**

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია თავის იდეურ ძალებს პოულობს საკავშირო კ. პ. (ბ) გამოცდილების დიად საგანძურში, სწავლობს მის სიმტკიცეს და მის უბადლო სტრატეგიასა და ტაქტიკას. კლასობრივ ბრძოლაში და სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. საკავშირო კ. პ. (ბ) მაგალითის მეოხებით, მისი ძმური დახმარების მეოხებით პოლონეთის მუშათა მოძრაობა გაიზარდა და ახლა ხალხის მოწინავე ძალად გადაიქცა.

საბჭოთა კავშირი, მისი პარტია, მისი ბელადი ამხანაგი სტალინი მძლავრი და უძლეველი იდეური ძალაა, რომელიც გავლენას ახდენს მთელ მსოფლიოზე, აღვიძებს ასეულ მილიონობით ადამიანის შეგნებას, რაზმავს ჩაგრულ ხალხებს თავისუფლებისა და მშვიდობისათვის საბრძოლველად, უზრუნველყოფს კაპიტალიზმის უღლისაგან განთავისუფლებული ხალხების შემოქმედებითს აღმავლობას უკეთესი საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობის საქმეში. კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ადამიანთა საზოგადოებაზე მსოფლიო მასშტაბით ასეთი დიდი, ასეთი დინამიკური და შემოქმედებითი ძალის იდეური ზემოქმედება. ეს ის ძალაა, რომელიც ასეულ მილიონობით ადამიანს გარდაქმნის, წინათ ჩამორჩენილ ხალხებსაც კი აქცევს მოწინავე, სოციალისტურ ხალხებად. ეს ის ძალაა, რომელიც აყალიბებს ადამიანთა ახალ, აღორძინებულ საზოგადოებას, გმობს ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარ ჩაგვრასა და ექსპლოატაციას, ის ძალაა, რომლის საბოლოო მიზანია ყოველგვარი ტირანიის მოსპობა, ხალხთა შორის მშვიდობისა და ძმობის სამუდამოდ დამკვიდრება. ეს დიადი სტალინური ეპოქის ახალი და უბადლო ძლევამოსილი და უკვდავი იდეური ძალაა. **(ტაში).**

მხოლოდ საერთაშორისო რევოლუციურ პროლეტარულ მოძრაობას, მხოლოდ დიად მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას, რომელიც სტალინმა აიყვანა მის ახლანდელ მწვერვალებამდე, რასაც ნიშნავენ ამხანაგ სტალინის უკანასკნელი შრომები „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ და „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“—შრომები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისათვის, — მხოლოდ სოციალიზმს, რომელიც ისტორიაში პირველად განხორციელდა საკავშირო კ. პ. (ბ) გენიალური ხელმძღვანელობის მეოხებით,— შეეძლო წარმოეშვა ასეთი ძალა და მიეცა მისთვის ძლევამოსილი მსოფლიო გაქანება.

სსრ კავშირის შემდგომი განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ XIX ყრილობის დირექტივების პროექტი კაპიტალისტური ეკონომიკის წინაშე სოციალისტური ეკონომიკის უპირატესობის კიდევ ერთი უდაო დამამტკიცებელი საბუთია, სსრ კავშირის ეკონომიკური განვითარების ნამდვილი ჰუმანისტური ხასიათის მკაფიო დადასტურებაა. რა მკვეთრად უპირისპირდება ეს სახალხო-სამეურნეო გეგმები, კომუნიზმის ეს დიადი მშენებლობანი და ბუნების გარდაქმნისაკენ, ხალხის კულტურის, მეცნიერებისა და კეთილდღეობის მუდმივი ამაღლებისაკენ მიმართული სამუშაოები მილიტარიზებული კაპიტალისტური ეკონომიკის მარაზმს, გადაგვარებას. ეს დაპირისპირება საერთაშორისო მდგომარეობის მთავარი თავისებურებაა ამჟამად.

დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამხანაგ სტალინის მიერ საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვებს:

„მთავარი შედეგი ის არის, რომ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა, მოსპო რა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და დაამკვიდრა რა სოციალისტური წყობილება, მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა თავისი საქმის სიმართლე. ეს არის მთავარი შედეგი, რადგანაც იგი განამტკიცებს რწმენას მუშათა კლასის ძალებისადმი და მისი საბოლოო გამარჯვების გარდუვალობისადმი“.

ახალი სტალინური ხუთწლედი კიდევ უფრო აძლიერებს მთელი მსოფლიოს მშრომელ მასებში თავისი საქმის სიმართლის შეგნებას, მისი გამარჯვების რწმენას. აი რატომ გახდა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობა ასეთი მახლობელი, ასეთი თვალსაჩინო მოვლენა მთელი მსოფლიოს მშრომელთა ცხოვრებაში, მათ შორის პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებაშიც, რომლებიც სოციალისტური შეჯიბრების განსაკუთრებული გაქანებითა და ენთუზიაზმით მიესალმებიან ამ ყრილობას როგორც მთელი მსოფლიოს მშრომელთა ოცნების დიად ტრიუმფს.

იმპერიალიზმი მთელ ძალღონეს ახმარს იმას, რომ შეასუსტოს და თავის ნებას დაუმორჩილოს ის ხალხები, რომლებიც მისი გავლენის ორბიტში იმყოფებიან, იმას, რომ გააძლიეროს სიძულვილი. მისი ბატონობისაგან განთავისუფლებული ხალხებისადმი.

საბჭოთა კავშირი მსოფლიოს უჩვენებს იმ ქვეყნების ახალი საერთაშორისო ურთიერთობის მაგალითს, რომელნიც საბჭოთა ხალხების გამარჯვების მეოხებით განთავისუფლდნენ იმპერიალისტების ძალადობისაგან. ამ ურთიერთობას ახასიათებს ძმური კავშირი, მეგობრობა და ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობა ამ ხალხთა ცხოვრების ყველა უმნიშვნელოვანეს დარგში. ამ ახალ საერთაშორისო ურთიერთობაში, რომელიც უცნობია ძველი მსოფლიოსათვის და რომელიც შესაძლებელი გახდა მხოლოდ დიდი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების მეოხებით, სახალხო პოლონეთი სარგებლობს საბჭოთა კავშირის უდიდესი და ყოველმხრივი, უანგარო და გულითადი დახმარებით და ამ დახმარების მეოხებით უკვე დღეს მიაღწია უაღრესად ხელსაყრელ პირობებს ინდუსტრიალიზაციის გზით, სოციალისტური მშენებლობის გზით სულ უფრო სწრაფი წინსვლისათვის. ამ ძმური გულითადი დახმარების უამრავ მაგალითში ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის საუცხო საჩუქარი, რომელიც მან უძღვნა ჰიტლერელ დამპყრობთა მიერ დანგრეულ ვარშავას—კულტურისა და მეცნიერების დიდებული სასახლის მშენებლობა. წინანდელი, რევოლუციამდელი საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიას არ ახსოვს და არც შეიძლება ახსოვდეს ასეთი მაგალითები. მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვებამ, მხოლოდ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადმა იდეამ, რომლის უბადლო მაგალითსაც მუდამ აძლევდნენ საერთაშორისო მოძრაობას ლენინი და სტალინი და რომლის შეუდრეკელი განმახორციელებელიც საერთაშორისო პოლიტიკასა და მოძმე ქვეყნებთან ურთიერთობაში საბჭოთა კავშირია, — შექმნა ასეთი ახალი ურთიერთობის შესაძლებლობა.

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობა აღმაფრთოვანებელი იდეური სტიმული გახდება მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის მის შემდგომ ბრძოლაში. პარტიის ახალი წესდების პროექტი თავისი უბადლო ჰუმანიზმით წარმტაცი დოკუმენტია საბრძოლო, მორალურ-პოლიტიკური მიღწევებისა და ამოცანებისა, რომლებსაც პარტია უსახავს მილიონობით თავის წევრს, ხოლო მათი საშუალებით — საბჭოთა კავშირის მშრომელებს. ეს დოკუმენტი კომუნიზმისათვის ყველა მებრძოლის თავდადების, ბრძოლისუნარიანობის, დიადი საქმისა და იმ დიადი იდეისადმი უსაზღვრო ერთგულების ნიმუში გახდება, რომელსაც აცხადებს მოწინავე საზოგადოებრივი მეცნიერება — მარქსიზმ-ლენინიზმი და რომელიც კაცობრიობას დაუსახა ახალმა, სტალინურმა ეპოქამ.

ახალ საერთაშორისო ვითარებაში განუზომლად გაიზარდა ამოცანები, დასახული მუშებისა და კომუნისტური პარტიების წინაშე, რომლებიც ახორციელებენ სტალინურ მითითებებს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. გაიზარდა, გაფართოვდა და სულ უფრო მძლავრი ხდება მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობა, ვიწროვდება იმპერიალიზმის სოციალური ბაზა, მატულობს აღშფოთება იმპერიალისტ აგრესორთა თავხედური, დანაშაულებრივი პროვოკაციებისა და ხრიკების წინააღმდეგ. განვამტკიცოთ, აქტიური გავხადოთ მასების ეს დიდი საზოგადოებრივი მოძრაობა, ვისწავლოთ მისი ხელმძღვანელობა ისე, რომ მშვიდობისათვის ბრძოლის დროშის ქვეშ დაირაზმოს კაცობრიობის გადამწყვეტი უმრავლესობა, რათა გაქარწყლდეს ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი გეგმები, — ასეთია პროლეტარული ავანგარდის საბრძოლო ამოცანა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, ყველა კუთხეში. ახალი ეპოქის ისტორიული ამოცანების შესაბამისად მუშებმა და კომუნისტურმა პარტიებმა მტკიცედ უნდა ზარდონ თავიანთი მებრძოლთა კადრები და განუხრელად განავითარონ მილიონობით მშრომელთა შეგნება და აქტივობა. აქეთკენ არის მიმართული ჩვენი პარტიის — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ღონისძიებებიც. ჩვენ ავაშენეთ სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა, ჩვენ განვამტკიცებთ მის საფუძველს — მუშათა და გლეხთა განუყოფელ კავშირს, უდიდეს პატრიოტიზმსა და ინტერნაციონალიზმს. ჩვენ ვსპობთ დამკვიდრებულ ცრურწმენებს, რომლებსაც საუკუნეთა განმავლობაში ნერგავდნენ და აღრმავებდნენ და რომლებსაც ძირი გამოეთხარა დიდი ოქტომბრის რევოლუციის მეოხებით, ჩვენი ხალხების ურთიერთობაში ისტორიული მობრუნების მეოხებით.

ჩვენ ვაშენებთ სამრეწველო გიგანტებს, ისეთებს, როგორიც არის ნოვაია გუტა, ვიყენებთ რა საბჭოთა მოწყობილობას, მოწინავე საბჭოთა ტექნიკას, საბჭოთა მეცნიერების დიდ მიღწევებს. საბჭოთა დახმარების, საბჭოთა გამოცდილების დიდსულოვანი და ძმური წვლილი მძლავრი სტიმულია სოციალისტური მშენებლობის დარგში ჩვენი სამამულო ტექნიკური აზრისა და ჩვენი ღონისძიებების განვითარებისათვის.

ჩვენ მნიშვნელოვანი სოციალური და კულტურული მიღწევები გვაქვს.

ყველა ეს მიღწევა წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო საბჭოთა ხალხების დახმარება, საკავშირო კ. პ. (ბ) დახმარება და პირადად ჩვენი დიდი მეგობრის ამხანაგ სტალინის ზრუნვა. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ გვსურს დაგარწმუნოთ, რომ ჩვენს პოსტზე ყველაფერს გავაკეთებთ მშვიდობისა და სოციალიზმის მთელი ფრონტის, მთელი ბანაკის განმტკიცების საქმისათვის.

ჩვენ არ დავიშურებთ ძალას იმისათვის, რომ ჩვენი წვლილი შეესაბამებოდეს ჩვენი ხალხის საუკეთესო ტრადიციებსა და მისწრაფებებს პროგრესისათვის ბრძოლაში, იმისათვის, რომ იგი შეესაბამებოდეს ჩვენი დიადი ეპოქის, ლენინ-სტალინის ძლევამოსილი ეპოქის ამოცანებს. **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბ) — მშრომელთა მსოფლიო განმათავისუფლებელი მოძრაობის გზის მანათებელ ვარსკვლავს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს — მშვიდობის ბურჯს, სოციალიზმისათვის ყველა მებრძოლის შთამაგონებელს, საერთაშორისო ძმობისა და მეგობრობის სიმბოლოს!

გაუმარჯოს მშვიდობისათვის, პროგრესისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში მთელი მოწინავე კაცობრიობის ბელადს — ამხანაგ სტალინს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცა. ყვირილი ფეხზე დგებიან).**

საქართველოს მშრომელები დიდი ინტერესით ეცნობიან ეროვნული პარტიის XIX ყრილობის მასალებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელადის სახელობის ქარხანაში

დაუვიწყარი, გმირული შემოქმედების დღეებია სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში. ქარხნის კოლექტივი უდიდესი ინტერესით ეცნობა და სწავლობს ლენინ—სტალინის პარტიის XIX ყრილობის მასალებს: ამხანაგ გ. მ. მალენკოვის საანგარიშო მოხსენებას, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. მგელაძის გამოსვლას და სხვა მასალებს.

გუშინ, მუშაობის დამთავრების შემდეგ, ხალმოს 5 საათზე ამწყობი საამქროს ვრცელ კორპუსში თავი მოიყარეს მოწინავე მუშებმა. მათ ყრილობის მასალების შესახებ ესაუბრა ცნობილი სტახანოველი მექვაბე, აგიტატორი ი. მაჩაიძე, დამსწრეთ მკაფიოდ და დამაჯერებლად მოუთხრო ქარხნის მოწინავე ადამიანთა პატრიოტულ საქმიანობაზე. 10 ოქტომბერს ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე ზეინკალ შ. კენჩხაძის ბრიგადამ საწარმოო დავალება 370 პროცენტით გაანაღდა. ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში დაწინაურდნენ მექვაბეები, ზეინკლები.

სტახანოველმა ვ. ბურჭულაძემ თქვა:

— ეწევიან რა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, საბჭოთა ადამიანები წარმატებით ახორციელებენ კომუნისტური მშენებლობის დიად პროგრამას. ჩვენი ქარხნის მუშები მოწინავეთა რიგებში არიან. ვდგები რა ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე, პირობას ვიძლევი ყოველდღიური დავალება ორ-სამმაგად შევასრულო!

პარტიის XIX ყრილობის მასალების გაცნობამ კიდევ უფრო გააძლიერა ქარხნის კოლექტივის თავდადება და შრომითი ენთუზიაზმი. ორთქლმავალვაგონშემკეთებლებმა ახალი გაფიდებული ვალდებულებანი იკისრეს. ზეინკლმა ა. ახობაძემ ვალდებულება აიღო მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში გეგმის გადაჭარბებით ექვსი თვის ნორმა შეასრულოს. ზეინკლთა ბრიგადის ხელმძღვანელმა ტ. ახლამაზოვმა პირობა დასდო, რომ ოქტომბრის ბოლოსთვის გეგმის გადამეტებით რემონტიდან გამოუშვას ერთი ორთქლმავალი.

ახალი შრომითი წარმატებებით

თბილისის აბრეშუმსაქსოი ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების მთელი გულისყური მიმართულია მოსკოვისაკენ, სადაც საბჭოთა ხალხის მოწინავე შვილები შეკრებილნი არიან XIX ყრილობაზე. ისინი გულმოდგინედ ადევნებენ თვალყურს ყრილობის მუშაობას და თავდადებული, მაღალნაყოფიერი შრომით გამოხატავენ თავიანთ ერთგულებასა და უსაზღვრო სიყვარულს კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, მწობლიური სტალინისადმი.

ოსტატების თანაშემწეების ხ. შიუკაშვილის, დ. ალიბეგაშვილის, გ. მურადიშვილის მოწინავე ბრიგადები ყრილობის გახსნის აღსანიშნავად სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და 6, 7, 8 ოქტომბერს დღიური საწარმოო დავალება 112-120 პროცენტით შეასრულეს. მარტო ხ. შიუკაშვილის მქსოველთა ბრიგადამ 6, 7 და 8 ოქტომბერს მოქსოვა და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცა 582 მეტრი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ქსოვილი.

ამ დღეებში მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშებს გვიჩვენებენ წარჩინებული მქსოველები გერასიმოვა, პეტროვა, ქარჩიძე, ნემსაძე და ნებერიძე, რომლებიც ყრილობის გახსნის აღსანიშნავად ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, ამცირებენ პროდუქციის თვითღირებულებას, აუმჯობესებენ ხარისხს. მოწინავე მქსოველი პეტროვა ნორმით გათვალისწინებული 54 მეტრის ნაცვლად დღეში 60-70 მეტრ აბრეშუმს ქსოვს. უკანასკნელ სამ დღეში მან ხამშობლოს გეგმის გადამეტებით 50 მეტრი ქსოვილი მისცა.

აჭარელ მეთამბაქოეთა ვალდებულებანი

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის ასს რესპუბლიკის საკომეურნეო სოფელში დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. კოლმეურნე გლეხობა უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის საანგარიშო მოხსენებას. აჭარის მშრომელები საფუძვლიანად სწავლობენ პარტიის XIX ყრილობის მასალებს.

ყრილობის მუშაობის დღეებში აჭარის ასს რესპუბლიკის მეთამბაქოე კოლმეურნეები უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპს. 5 ოქტომბრისათვის შეტეხილი და ანემსილი იყო 12.874.435 ზონარმეტრი თამბაქო. გეგმაზე 7,2 პროცენტით მეტი.

ლენინ—სტალინის პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად აჭარის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს 5 ნოემბრისათვის შეასრულონ თამბაქოს დამზადების წლიური დავალება და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 300 ტონა მაღალხარისხოვანი თამბაქო ასორტიმენტის დაცვით.

კოლმეურნეები საქმით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. ქედის რაიონის სოფელ ახოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ აჭარაში პირველმა შეასრულა ხმელი თამბაქოს დამზადების წლიური გეგმა და სახელმწიფოს ჩააბარა 19 ტონა ხარისხოვანი თამბაქო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17,6 ტონისა. აქ იბრძვიან იმისათვის, რომ გეგმის გადამეტებით ხამშობლოს მისცენ 10 ტონა ნედლეული.

ხულოს რაიონის სოფელ წაბლანას 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობამ უდანაკარგოდ აიღო თამბაქოს მოსავალი. ამ კოლმეურნეობის მეექვსე ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი ხ. სურმანიძე წარმატებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას—5,5 ჰექტარი ფარფატის თვითეულ ჰექტარზე 25 ცენტნერი თამბაქოს მოყვანის შესახებ. მერგოლურებმა, სოციალისტური შრომის გმირებმა უ. ბოლქვაძემ და ხ. მახარაძემ პირობა დადეს ყრილობის მუშაობის დღეებში უფრო გააძლიერონ ტემპი და უზრუნველყონ ჰექტარზე 25 ცენტნერი თამბაქოს მიღება. მეთამბაქოე კოლმეურნეები დაუღალავად შრომობენ ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სპორტსმენთა სპარტაკიადა



დამთავრდა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების ფიზკულტურული ორგანიზაციების VI ტრადიციული სპარტაკიადა. განვლილმა შეხვედრებმა ცხადყვეს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სპორტსმენთა კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება, მათი დაოსტატების აღმავლობა.

ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების ფიზკულტურული ორგანიზაციების პირველი სპარტაკიადა მოეწყო ქ. ერევანში 1943 წელს და დამთავრდა საქართველოს სპორტსმენთა გამარჯვებით. მას შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები არავის უთმობენ პირველობას, სისტემატურად ინარჩუნებენ გარდამავალ ჯილდოს — დროშას.

მეექვსე სპარტაკიადის პროგრამა მოიცავდა სპორტის 11 სახეობას — მძლეოსნობას, ტანვარჯიშს, კრივს, კლასიკურ ჭიდაობას, ძალოსნობას, წყალისა და ველოსპორტს, კალათბურთს, ფრენბურთს, ჩოგბურთს, ფეხბურთს. სპორტის ამ სახეობებიდან საქართველოს გუნდმა 10 პირველი და 1 მეორე ადგილი დაიკავა.

შეჯიბრება დაიწყო მძლეოსანთა ასპარეზობით. პირველობისათვის მებრძოლთა რიგებში იყვნენ სპორტის ოსტატები და სპორტის დამსახურებული ოსტატები, მრავალ საერთაშორისო შეხვედრაში სახელმოხვეჭილი მძლეოსნები — ნ. დუმბაძე, ე. გოკიელი, ლ. სანაძე, ხ. მადათოვი და სხვ. მძლეოსნური სპორტის 28 სახეობიდან 20 პირველი ადგილი მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის გუნდის წარმომადგენლებმა, 5 პირველი ადგილი — აზერბაიჯანელმა მძლეოსნებმა, 3 პირველი ადგილი — სომხეთის სპორტსმენებმა.

საქართველოს ახალი რეკორდები დამყარებულ იქნა 800 და 1.500 მეტრზე რბენაში ჭაბუკებისათვის, აგრეთვე ამანათრბენაში ქალებისათვის 400+300+200+100 და ვაჟებისათვის 800+400+200+100 მეტრზე.

სპორტის ოსტატმა ლ. სანაძემ მოიპოვა 4 პირველი ადგილი, ე. გოკიელმა და გ. ბრიტვინამ—3 პირველი ადგილი; ნ. დუმბაძემ ბადრო ტყორცნა 50 მეტრსა და 64 სანტიმეტრზე, მ. პეტროსიანმა (აზერბაიჯანი) 100 მეტრი დაფარა 13,1 წამში, ვაჟთა შორის ბადროს ტყორცნაში გაიმარჯვა ვ. ოვსეპიანმა (სომხეთი) — 41 მეტრი და 40 სანტიმეტრი.

საერთო გუნდური პირველობა მძლეოსნობაში მოიპოვა საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივმა, რომელმაც 6.084 ქულით გაუსწრო აზერბაიჯანის გუნდს.

საინტერესო იყო კალათბურთელთა, ფეხბურთელთა და ფრენბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა. თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში არიან ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია, ლ. ინწკირველი, ვ. ჟღენტი და სხვები, მოიგო შეხვედრები აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდებთან ანგარიშით 86 : 24, 64 : 31 და საერთო პირველი ადგილი დაიკავა; პირველი ადგილი დაიკავა აგრეთვე საქართველოს კალათბურთელ ქალთა გუნდმა.

უკანასკნელი ასპარეზობის წინ აზერბაიჯანისა და საქართველოს ფეხბურთელთა გუნდებს ჰქონდათ თითო ქულა, სომხეთის გუნდს —2 ქულა. გადამწყვეტ შეხვედრაში საქართველოს ფეხბურთელებმა მოუგეს სომხეთის გუნდს ანგარიშით 1 : 0 და 3 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. ფრენბურთელთა ასპარეზობაში პირველი ადგილი დაიკავეს საქართველოს სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ აზერბაიჯანელი ფრენბურთელები.

წონითი კატეგორიების მიხედვით კლასიკურ ჭიდაობაში ამიერკავკასიის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს: ხ. ვარდანიანმა (სომხეთი), მ. ბაბაევმა (აზერბაიჯანი), ა. ტერიანმა (აზერბაიჯანი), რ. ვარდანიანმა (სომხეთი), პ. დადაშევმა (აზერბაიჯანი), გ. კარტოზიამ (საქართველო), დ. ციმაკურიძემ (საქართველო), ვ. მაჩკალიანმა (საქართველო).

კრივში ამიერკავკასიის ჩემპიონები გახდნენ რ. კალაჯიევი, თ. ტატანაშვილი, გ. ხანუკაშვილი, ვ. სმირნოვი, ვ ენგიბარიანი, ე. ჯიქია, გ. დარბაისელი, ნ. დარბაისელი, ტ. მიქაელიანი, კ. ბაბახანიდი.

შეჯიბრება ტანვარჯიშში, ჩოგბურთსა და ძალოსნობაში დამთავრდა საქართველოს გუნდის გამარჯვებით, 5 ლოსპორტში — სომხეთის გუნდის გამარჯვებით. ტანვარჯიშში მაღალი სპორტული შედეგები მოიპოვეს მ. ჯუღელმა და რ. შარაბიძემ.

საერთო გუნდური პირველობა სპორტის 11 სახეობაში მოიპოვა საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივმა. მეორე ადგილზე გამოვიდა სომხეთის გუნდი, მესამეზე — აზერბაიჯანის გუნდი.

9 ოქტომბერს თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში შედგა სპარტაკიადის შემაჯამებელი სადამო. სპარტაკიადაში გამარჯვებულ საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივს საზეიმოდ გადაეცა გარდამავალი ჯილდო—დროშა, თასი და ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომი.

ვ. გაბელია.

* * *

სურათზე: ქვემოთ — სპარტაკიადის მონაწილეთა პარადი; ზემოთ (მარცხნივ)—რბენა 800 მეტრზე ვაჟებისათვის; შუაში — შეჯიბრებაში გამარჯვებულნი: 100 მეტრზე რბენაში ვაჟებისათვის — ლ. სანაძე (საქართველო), 100 მეტრზე ქალებისათვის—მ. პეტროსიანი (აზერბაიჯანი), 10 კილომეტრზე სპორტულ სიარულში — მ. კარაპეტიანი (სომხეთი); მარჯვნივ — მ. კუტმანი (საქართველო) აკეთებს ნახტომს ჭოკით 4 მეტრზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 9 ოქტომბერს გამოაქვეყნა ცნობა:

9 ოქტომბერს კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად ფრონტის ცალკეულ უბნებზე ეწეოდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის გააფთრებულ ბრძოლებს.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მტრის 5 და დაზიანეს 7 თვითმფრინავი.

შეხვედრა XV ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეებთან

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში (ოლოდარსკის ქ. № 3) ორშაბათს, 13 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე შედგება შეხვედრა XV ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეებთან.

მოხსენებას თემაზე — „XV ოლიმპიური ასპარეზობა“ წაიკითხავს ამხ. ნ. დუმბაძე. სიტყვებით გამოვლენ დ. ციმაკურიძე, რ. ჩიმიშკიანი, მ. ჯუღელი და ო. ქორქია.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

უე 03682